# კვალი

X წ. ყოველკვირეული გაზეთი. X წ.

№ 13. კვირა, 24 მარტი 1902 წლისა. № 13.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.



შინაარსი: ქალაქის მართვა-გამგეობა, ფ. გ.—ახალი ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—მთავრობის განცხადება.—ლექსები, მ. გორკისა—ჩინოვნიკის სიკვდილი, ა. ჩეხოვისა. სამშობლო ცაზე, რიგოლეტოსი.—ბავარიის ზირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლი, ა. მ—ძისა.—ტუბერკულოზის შესახებ.—თფილისის საკვირაო სკოლის „ქართველ“ მასწავლებელ ქალებს, პ. სურგულაძისა.—ტყავის წარმოებისა და განვითარება, გრ. რობაქიძისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—საქველ-მოქმედო საქმე.—განცხადებანი.


## ქალაქის მართვა-გამგეობა.

### III. სწავლა-განათლება.

რომ „სწავლა სინათლეა და უსწავლელობა სიბნელე“, ეს დღეს თითქმის ყველამ იცის, ყველას შეგნებული აქვს. ამიტომ, შეიძლება, ზოგიერთმა მკითხველმა გვისაყვედუროს კიდეც ასეთ ძველ საგანზე წერა, მაზე ბაასის გაბმა.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ დღეს მაინც ამ ძველ საგანზე უნდა ვილაპარაკოთ. საგნის სიძველე არაფერი სასაყვედუროა. ბევრია ისეთი ძველი საგანი, რომლებზედაც ფიქრი და მსჯელობა არასოდეს არ არის მოსაწყენი და უსარგებლო. და ერთ ასეთ საგნათ უეჭველათ სწავლა-განათლების საქმეც უნდა ჩაითვალოს. ამასთან ჩვენ გვაქვს ლაპარაკი ქალაქზე და მის საჭიროებებზე. და სწავლა-განათლების გაძლიერება და გავრცელება ერთი მთავარი საჭიროებაა ქალაქისა, უდიდესი მოთხოვნილებაა ქალაქის მცხოვრებლებისა. ამ მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილება, როგორც წინეთაც ვთქვით, სასარგებლოა ყველა მოქალაქეთათვის, წარმატების მომცემია მთელი ქალაქისათვის.

რაში გამოიხატება ეს სარგებლობა და წარმატება?

ამის პასუხი ძნელი მოსაცემი არაა. ჩვენ ვიცით, რომ ქალაქი უმთავრესათ მრეწველობით და ვაჭრობით ცხოვრობს. ვერც მრეწველობა და ვერც ვაჭრობა ვერ წავა წინ, ვერ განვითარდება, ქალაქი ეკონომიურ წარმატების გზას ვერ დაადგება, თუ მცხოვრებნი უვიცნი და გონებით განუვითარებელნი იქნებიან. სწავლა-განათლება აუცილებელი პირობაა ხალხის ეკონომიურ წინმსვლელობისათვის. ამიტომ ამ საქმეში ყოველი მოქალაქე დაინტერესებულია, აქ ყველას ინტერესი, განურჩევლათ კლასისა და წოდებისა, შეერთებული და შეთანხმებულია.—განვმარტოთ ეს აზრი უფრო დაბიურათ და გასაგებათ.

ჯერ მარტო ზერელათაც რომ შევხედოთ საგანს, ვნახავთ, რომ სწავლა-განათლების გავრცელება ნივთიერ სარგებლობის მომცემია მრავალ მოქალაქეთათვის. სწავლა-განათლების გასავრცელებლათ, რა თქმა უნდა, საჭიროა სკოლების დაარსება და მასწავლებლების დანიშვნა. რამდენათაც გადიდდება ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი, იმდენათვე მეტი სკოლების დაარსება იქნება საჭირო, იმდენათვე მეტ მასწავლებელთა მოწვევა გახდება აუცილებელი. და ეს გარემოება სახეირო იქნება მრავალ ხელობის ხალხისათვის. ამით სამუშაო მოემატება მეაგურეს, კალატოზს, მხერხავს, დურგალს, მებუხრეს, მეშუშეს, მკერვალს, მეყდეს და ბევრ სხვას. მეტს ივაჭრებს მექაღალდე, მეფართლე და მეწვრილმანეც. ცხადია, ყველა ამ ხალხისთვის სკოლების გამრავლება სასურველი და სასიამოვნო უნდა იყოს.

მაგრამ ეს არ არის მაინც საგნის მთავარი მხარე. სწავლა-განათლებას პირ და-პირი გავლენა აქვს ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებაზე, მათ გაძლიერებასა და წარმატებაზე. ახლანდელ დროში ყოველგვარ წარმოების წესი მუდმივ იცვლება და უმჯობესდება. ამიტომ წარმოებაში ძველ წესზე შეჩერება, უცხო მკოდნე ერთაგან ახალის გადმოუღებლობა ნიშნავს უკან ჩამორჩენას და დაძაბუნებას, უცხო ხალხთაგან ეკონომიურათ დამოკიდებულებას და ყმათ გახდომას. და წარმოებაში ძველი წესის შეცვლა არ მოხერხდება, ტეხნიკური გაუმჯობესება ვერ შეიტანება, თუ ხალხი, რომელიც ამ წარმოებას ეწევა, უვიცი და განუვითარებელია, თავის ხელობისთვის განუსწავლელი და მოუმზადებელია. რამდენათაც ნაკლები ცოდნა და მომზადება აქვს მწარმოებელს, იმდენათვე ნაკლები ნაყოფი მოაქვს მის შრომას, იმდენათვე მეტი სიმდარის დაღი აზის თითოეულ მის ნაწარმოებს და მთელ მის წარმოებას.

რომ უვიც და განუვითარებელ მუშის შრომა ნაკლებ ნაყოფს იძლევა, ეს გამოკვლეული და დამტკიცებულია სტატისტიკურათაც. მაგალითათ, შულცე-გევერნიცის სიტყვით რუსეთში ვლადიმირის საქსოვ ფაბრიკებში ერთი მუშა ორ ქსელზე მუშაობს, მეტზე ვერა, მაშინ როდესაც ინგლისში ერთი მუშა 6 ქსელს ამუშავებს და უძლევება. დ-რ ბალოდის ცნობები ამაზე კიდევ უფრო საინტერესოა. იგი ამბობს, რომ 1893 წელს ურალში 142,486 მუშამ მხოლოთ ნახევარი მილიონი ტონი გადაუმუშავებელი რკინა და 360,000 ტონი გადამდნარი რკინა და ფოლადი დაამზადა. ბელგიაში კი ამდენსავე

ნაყოფს მხოლოთ 11,165 კაცის შრომა მოიტანდა. ურალის რკინის მადნებიდან საშუალო რიცხვით თითოეულ მუშას 50 ტონი მადანი გამოაქვს წლიურათ, მაშინ როდესაც გერმანელ მუშის წლიური ნაწარმოები 370 ტონს აღემატება.

ეს ციფრები ცხადათ გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მწარმოებლის ცოდნა-განვითარებას შრომის ნაყოფიერობისათვის. მწარმოებლის უვიცობა და გონებრივი განუვითარებლობა ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, ხელის შემშლელია ყოველგვარ წარმოების განვითარებისათვის, დაბრკოლების მომცემია ეკონომიურ წინ-სვლისა და წარმატებისთვის.

და ეს ისეთი საგანია, რომელიც აინტერესებს წარმოების პატრონსაც და მთელ საზოგადოებასაც. უსწავლელი და მოუმზადებელია მუშა-ხელი,—ნაკლები ნაყოფიერობა აქვს შრომას, ნაკლები და მდარე საქონელი უჩნდება მეფაბრიკეს, მეტი ხარჯები აქვს მას და ნაკლები გასავალი მის საქონელს. ეს ნიშნავს მოსაგების შემცირებას მეფაბრიკესთვის, საქონლის ფასის სიძვირეს და, მაშასადამე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გაძნელებას მომხმარებლებისთვის. ამიტომ იმ მიზეზის მოსპობა, რომელიც შედეგათ იწვევს ამ გარემოებას, ორივე მხარესთვის სასარგებლოა,—სასარგებლოა მწარმოებლისთვის, სასარგებლოა მომხმარებლისთვისაც. და სწორეთ ასეთი მოსასპობი მიზეზი არის ამ შემთხვევაში ხალხში სწავლა-განათლების ნაკლებობა.

იქნება ვინმემ გვითხრას: ეს რა სიტყვაზე მოსატანია; ჩვენში ხომ ფაბრიკები კანტი-კუნტათ არი და ნაწარმოებთა უმრავლესობა სხვა ქვეყნებიდან და ადგილებიდან შემოგვაქვსო. მაგრამ ეს შენიშვნა სწავლა-განათლების იმ მნიშვნელობას, რომელზედაც ჩვენ ვუთითებთ, სრულიათაც არ აქრობს და მის დასაბუთებას არ არღვევს. მით უფრო საჭიროა სწავლა-განათლების გავრცელება ისეთ ხალხში, რომელშიაც თანამედროვე მრეწველობას და წესიერ ვაჭრობას ჯერ ხეირიანათ ფეხი ვერ მოუკიდია და ფესვები ვერ გაუდგამს. მით უფრო საჭიროა ცოდნის შემოტანა იქ, საცა ცოდნა და განათლება ნაკლებია. როგორ უნდა წარმოდგეს და გაძლიერდეს თანამედროვე მრეწველობა, თუ ამისთვის მცოდნე და მომზადებული ხალხი არ იქნება? ვინ იცის, რამდენ უცხოელ და არა-უცხოელ კაპიტალისტს განუზრახავს ჩვენში ახალი ფაბრიკის გახსნა, მაგრამ მომზადებულ მუშა-ხელის უქონლობისა გამო განზრახვაზე ხელი აუღია. და ასე იქნება ეს კიდევ დიდხანს, თუ ჩვენში მეტი ცოდნა და განათლება არ გავრცელდა. მართალია, საქონელი უცხო ქვეყნებიდანაც შემოიტანება, მაგრამ ეს ჩვენი ეკონომიურ წინმსვლელობის მაჩვენებელი არ იქნება. შემოტანილი საქონელი ხომ უნდა გასაღდეს, ხალხში გაყიდულ იქნეს. და რით იყიდის ხალხი, თუ სამუშაო არ ექნება, თუ ჩვენში მრეწველობა არ გაიზრდება და არ განვითარდება? ხალხი იძულებული იქნება თვისი მოთხოვნილებები შეამციროს და, მაშასადამე, კულტურულათ უკან დაიწიოს. მას დაუმცირდება მყიდველობითი ძალა. და ეს გამოიწვევს თვით ვაჭრობის შემცირებას და უკან დაწევას, საერთოთ აღებ-მიცემობის დაპატარავებას და დასუსტებას.

ასე მჭიდროთ გადაბმულია ერთმანეთზე ხალხის განათლება და ეკონომიური განვითარება. ეკონომიას (wirtsehaft) ორი მთავარი მხარე აქვს: წარმოება და ნაწარმოებთა განაწილება. აქამდის ჩვენ მიერ ნალაპარაკევი ეკონომიის მხოლოთ პირველ მხარეს, სახელდობ წარმოებას, შეეხებოდა. ჩვენ მივუთითეთ იმ მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას წარმოების გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის, ნაწარმოებთა გაიაფებისა და, მაშასადამე, საზოგადო კულტურის წინ-წაწევისათვის.

არ მოგვიხსენებია ჯერ სწავლა-განათლების გავლენა ნაწარმოებთა განაწილებაზე. ეს გავლენა კი ძლიან დიდი გახლავთ. „Knowledge is power,—ცოდნა ძალა არისო, უთქვამს ბეკონს, და ეს სრული ჭეშმარიტება არის. [illegible] შეგნებულ ხალხს უფრო ადვილათ შეუძლია [illegible] დაცვა, ვინემ უვიცს და თვით-ცნობიერებას მოკლებულს. ხალხი, ცოდნით და თვისი ღირსების ცნობით შეიარაღებული, შეძლებს ცხოვრებაში მეტ ხმის და გავლენის მოპოებას და შრომის ნაყოფის განაწილებაშიაც მეტ სარგებლობის ნახვას... ცოდნა და სწავლა უმრავლებს ადამიანს მოთხოვნილებებს, და ეს ერთი უდიდესი ძალაა ცხოვრების გაუმჯობესების და საზოგადოების კულტურულათ წინ მსვლელობისა...

ერთი სიტყვით, საიდანაც უნდა შევხედოთ სწავლა-განათლების საქმეს, იგი ყოველ მხრით მნიშვნელოვანი და სასარგებლო გვეჩვენება. ასე აქვთ შეგნებული ეს ევროპის ქალაქებსაც, რომლებიც ამისთვის აუარებელ ფულს ხარჯვენ და სახალხო სკოლებს მუდამ ამრავლებენ. აი, ამის მაჩვენებელი რამდენიმე ციფრებიც. 1896—97 სამოსწავლო წელში გერმანიის შემდეგ ქალაქებს დაუხარჯავთ:

| | სახალხო სკოლებზე მარკა*). | სკოლებზე საზოგადოთ მარკა. | თითო მოწაფეზე მარ[კა] |
|---|---|---|---|
| ბერლინს . . . . . . | 10.523,537 | 13.368,883 | 59,8 |
| ბრესლავლს . . . . . | 2.110,503 | 2.934,036 | 54,7 |
| მიუნხენს . . . . . . | 1.875,850 | 2.380,792 | 48,0 |
| დრეზდენს. . . . . . | 1.158,976 | 2,077,746 | 52,4 |
| ლეიპციგს. . . . . . | 2.844,837 | 3.690,262 | 54,8 |
| კელნს . . . . . . . | 1.386,580 | 1.677,888 | 34,9 |
| ფრანკფურტს მაინზე . | 1.218,610 | 2.011,262 | 72,9 |
| ჰანნოვერს. . . . . | 894,663 | 1.473,341 | 48,2 |
| შტუტგარტს. . . . . | 444,959 | 913,078 | 41,2 |
| ბრემენს. . . . . . | 815,313 | 1.505,430 | 70,5 |
| მაგდებურგს . . . . . | 1.102,165 | 1.396,513 | 39,0 |

ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ აქ არ არის შესული ის დიდი ხარჯები, რომლებიც გაუღიათ ამ ქალაქებს სასკოლო შენობების აგებისთვის.

ჩვენში? ჩვენში სწავლა-განათლების საქმე კუს ნაბიჯით მიდის. ჩვენი ქალაქის „მამები" თავს იმით იქებენ, რომ ჩვენ ინტელიგენტები ვართო, საბჭოს „სოსტავის" 75% უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებული ხალხი არისო (იხილე ჟურნალი „Право", 1902 წლ., № 1, გვერ. 26). რა თქმა უნდა, ეს გარემოება ძალიან სანუგეშოა ქალაქისათვის. ქალაქის მცხოვრებთ რაღათ უნდათ სკოლები. მათი ხმოსნები ხომ „კურსოვნიკები" არიან და განა ეს მათთვის საკმარისი არაა! მაგრამ არ გვგონია კი, რომ ეს მათ იკმარონ...

ვამბობთ, არ გვგონიაო, რადგან დღეს ყველას შეგნებული აქვს, თუ რა ეჭირვება ქალაქს ხალხში სწავლა-განათლების გასავრცელებლათ. სკოლები, სკოლები და კიდევ სკოლები,—ეს სამჯერ განმეორებული სიტყვა ხატავს უმთავრესათ ქალაქის გონებრივ საჭიროებას. ეს ისეთი ასპარეზია, რომ რაც უნდა იერთგულოს ქალაქის მართველობამ, მაინც ვერ გადააჭარბებს ზომასა და მოთხოვნილებას. რუსეთის სახელმწიფოში სახალხო სკოლა არ არის ჯერ სავალდებულოთ გამხდარი. ამიტომ აქ ეხსნება ქალაქს კერძო ინიციატივის და მოღვაწეობის ფართო ნიადაგი. ის, რაც ვერ შესრულებულა ჯერ კანონ-მდებლობითი გზით მთელ სახელმწიფოში, მას შეუძლია შეასრულოს თავის ვიწრო ქალაქის ფარგალში. მას შეუძლია აქ სკოლა გახადოს სავალდებულოთ და პირველ-

*) მარკა 46 კაპეიკს ეთანასწორება.

დაწყებითი სწავლა მიაღებინოს ყველას, განურჩევლათ ეროვნებისა და წოდებისა, სქესისა და სარწმუნოებისა. მართალია, ქალაქში სკოლის სავალდებულოთ გამოსაცხადებლათ (Schulzwang) თვით-მართველობას დაჰირდება მთავრობასთან შუამდგომლობა და უმაღლესი ნება-რთვა, მაგრამ ეს ადვილი მისაღებია, თუ სკოლებისთვის საჭირო ნივთიერი სახსარი გამონახული იქნება. სახსარი კი, მიუხედავათ იმისა, რომ საძნელო იქნება, უნდა გამოინახოს. აქ უსახსრობით თავის გამართლება არ შეიძლება. ჩვენ შემდეგში ლაპარაკი გვექნება ქალაქის ფინანსებზე და იქ ვუჩვენებთ იმ წყაროებსაც, საიდანაც სასკოლო და ბევრ სხვა ხარჯების დაფარვაც შესაძლებელი იქნება.

აქ ჩვენ ვერ გამოვუდგებით სასკოლო გეგმის ვრცლათ აღწერას. ვიტყვით მხოლოთ, რომ სახალხო სკოლაში ბავში უნდა იძენდეს ერთი მხრით საზოგადო ელემენტარულ ცოდნას და მეორე მხრით უნდა სწავლობდეს სხვა-და სხვა დარგის ხელობასაც. საზოგადო განათლება და ხელობათა პრაქტიკული ცოდნა — ეს არის ორი მთავარი მხარე ახლანდელ დროში [illegible]რო სახალხო სკოლაში. ეს ორი მხარე შეიძლება ერთ და იგივე სკოლაში იყოს შეერთებული და შეიძლება ისიც, რომ თითოეულისთვის განცალკევებული სკოლები არსებობდეს. ყოველ შემთხვევაში, ეს ასე იქნება თუ ისე, პირველ-დაწყებითი, ელემენტარული სკოლა სავალდებულო უნდა იყოს ყველასთვის, მის გარეთ ვერ უნდა რჩებოდეს ვერც ვაჟები და ვერც ქალები, სულ ერთია მდიდრების შვილები იქნებიან ისინი თუ ღარიბების. სწავლება უნდა იყოს უსასყიდლო და სასწავლო ნივთები მუქთი.

პირველ-დაწყებითი სკოლის სავალდებულოთ გამოცხადებით იგულისხმება იმის დაკანონებაც, რომ ბავშვი განსაზღვრულ ასაკამდი (13—14—15 წლამდი) სკოლას ეკუთვნის და ამ ხნის განმავლობაში მისი მუშაობა მრეწველობაში ან სხვაგან სადმე ქირაზე იკრძალება. თუ რა კეთილი შედეგი ექნება ასეთი წესის შემოღებას, ამას ყველა ადვილათ გაითვალისწინებს. დღეს რვა-ათი წლის ბავშები ყრიან ბიჭებათ ქალაქის სარდაფებში და სამიკიტნოებში. მათთვის არ არის არც მოვლა, არც დარიგება, არც ძილი და მოსვენება. მათი ერთად-ერთი სკოლაა გალოთებულ ხალხის ლანძღვა და გინება, უზნეობა და გარყვნილობა. და რაღა გასაკვირია, ასეთ პირობებში და ასეთ წრეში აღზრდილი ადამიანი ადამიანს აღარ ემსგავსებოდეს, მას ყოველგვარი სინდისის და ზნეობის გრძნობა დახშული და დაკარგული ქონდეს. და აკი ასეც ხდება. ხშირათ ვკითხულობთ გაზეთებში (და რამდენი შემთხვევა იმალება!), რომ ამან და ამან საშინელი დანაშაულობა ჩაიდინა. კითხულობთ და თვალს არ უჯერით. არ გჯერათ, რომ თუ არ ნადირს სხვა ვინმეს შეეძლოს ასეთი საზიზღრობის ჩადენა. და ან კი რით განსხვავდებიან ნადირისგან, მაგალითათ, ის ვითომ და ადამიანები, რომლებმაც ამას წინეთ, როგორც გაზეთებში იყო აღნიშნული, ერთი 8 წლის ბავში კლდეზე აიყვანეს, გააუპატიურეს და შემდეგ კლდიდან ძირს გადმოაგდეს? არაფრით! ანუ უკეთ, განსხვავდებიან იმით, რომ ნადირზე უარესები არიან. მაგრამ ადამიანი ასე ბუნებით განადირებული არ იბადება. მას ნადირათ ხდის ცხოვრება, არე, სადაც იგი ცხოვრობს და ტრიალებს. ცუდი პირობების შეცვლით ადამიანი, შეიძლება, სიბოროტეს აშორდეს და საზოგადოების სასარგებლო და ზნეობრივათ ჯან-საღი წევრი გახდეს. პატარაობიდანვე წესიერი აღზრდით აქ შეიძლება ბევრი, ძალიან ბევრი რამ გაკეთდეს. და რამდენათაც ქალაქი მეტს ეცდება ამისთვის, იმდენათვე გაიდიდებს იგი თავის ეკონომიურ ძალას და ზნეობრივ სისაღეს.

სკოლის სავალდებულოთ გამოცხადებითაც ახალ-გაზდობის აღზრდის საქმე არ სრულდება. სავალდებულო სკოლას ის მიზანი აქვს, რომ წერა-კითხვა ყველამ ისწავლოს, ელემენტარულ სწავლა-განათლების მიუღებლათ არავინ დარჩეს. ქალაქი კისრულობს საერთო ძალით მხოლოთ სკოლ[illegible] ლოლის. ხოლო ბავშვების მრჩენელნი და მომვლელნი მათი მშობლები არიან. მაგრამ ქალაქში ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ მცირე-წლოვანი ობოლია და, მაშასადამე, მომვლელს და მრჩენელს მოკლებულია. შეიძლება, ბავშვს დასნეულებული მამა ყავდეს, რომელიც ვერ იზრუნებს რიგიანათ მის მოვლაზე; შეიძლება ქვრივი დედა ზნეობა-დაცემული იყოს, რომელიც თავის შვილს კეთილ და ზნეობის სწორე გზაზე ვერ დააყენებს. ხშირათ მოხდება ქალაქში უკანონოთ შობილ ბავშვთა მიგდება. ყოველთვის მოიპოვებიან ქალაქში ყრუ, მუნჯი და ბრმა ბავშვები, რომლებსაც საზოგადო სკოლებში სიარული და სხვებთან სწავლის მიღება არ შეეძლებათ. ყველა ამ გვარ ბავშვთ ქალაქმა მამობა უნდა გაუწიოს და მათი რჩენისა და აღზრდის საქმე მოაწესრიგოს.

ახლა ჯერი მიდგა სრულ-წლოვანებაზე. ამათ გონების განვითარებისთვისაც ბევრის, ძალიან ბევრ რამის გაკეთება შეუძლია ქალაქის ენერგიულ და მომქმედ თვით-მართველობას. საკვირაო სკოლები, სახალხო სახლი და სახალხო კითხვები, თეატრები, მუზეუმები, წიგნთ-საცავები და სამკითხველოები — ყველა ესენი ისეთი დაწესებულებებია, რომლებიც ხალხის სწავლა-განათლებას და გონების განვითარებას ემსახურება. როგორც ბავშვებისთვის სკოლები, ისევე საჭირო და სასარგებლოა ყველა ამ გვარ დაწესებულებათა დაარსება და გამრავლება. ეს საჭიროება და სარგებლობა, ვფიქრობთ, ყველასთვის — გარდა თფილისის თვით-მართველობისა — ცხადი და ნათელია, ასე რომ მაზე კიდევ სიტყვის გაგრძელება საჭირო აღარაა.

ფ. გ.

---

## სხვა-და-სხვა ამბები.

სათანადო მთავრობამ უკვე დაამტკიცა თფილისის იმ ახალი საზოგადოების წესდება, რომელსაც საგნათ აქვს ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლეს სასწავლებლების ღარიბ კავკასიელ სტუდენტებს. საზოგადოების დამფუძნებელ წევრთ კვირას, 17 მარტს, თფილისის არტისტულ საზოგადოების დარბაზში მოლაპარაკება ქონდათ იმის შესახებ, თუ როდის დაიწყონ მოქმედება და რა საშუალებათ მიმართონ დახმარების საქმის რიგიანათ დაყენებისათვის. დამფუძნებელ წევრთა სხდომამ პირველათ იქონია მსჯელობა, თუ რამდენი დაწესდეს საწევრო გადასახადი. კარგა ხანს მოლაპარაკების შემდეგ, გადაწყვიტეს საწევრო გადასახადი იქმნეს ყოველ წლივ 3 მან. კრებამ აგრეთვე დაადგინა დაიბეჭდოს წესდების 1,000 ცალი და 500-მდე დაურიგდეს გასაცნობათ სასწავლებლების გამგეთა და სხვა დაწესებულებათ, დაეგზავნოს აგრეთვე დამფუძნებელ წევრებს. ყველა ეს უნდა დამზადდეს ერთი თვის განმავლობაში, რომლის შემდეგაც 27 აპრილისთვის მოხდება საზოგადო კრება წევრთა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების ამოსარჩევათ, რათა ამ დროიდან საზოგადოება უკვე შეუდგეს მოქმედებას.

---

წარსულ კვირას ნაძალადევში აკურთხეს და გახსნეს ქალების საკვირაო სკოლა. სკოლაში ამ ჟამათ უკვე 70 ქალი დაიარება.

---

31 მარტს დანიშნულია დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა კრება.

---

თფილისის პოლიცმეისტერმა დაავალა ყველა ბოქაულებს,

ირველ აპრილამდე დაასრულონ შემოწმება, ყველა სახლის პატრონმა ქალაქში შეიძინა საადრესო ფურცლები და საოჯახო წიგნები და ყველამ წარმოადგინა თუ არა საადრესო სტოლისაგან მოთხოვნილი ცნობები და რამდენათ ნამდვილია ეს ცნობები. გარდა ამისა, დაევალათ, თვალყური ადევნონ იმას, რომ სახლის პატრონებმა თავის დროზე აცნობონ საადრესო სტოლს ცნობები მომსვლელ და წამსვლელ პირებზე იმათ სახლში, თანხმათ ამ საქმის შესახებ გამოცემული წესდებისა.

---

ჭიათურიდან მარგანეცის ზიდვა ფოთში თან-და-თან მატულობს: წარსული წლის დეკემბერში დღე-ღამეში, ორთაშუა რიცხვით, გაქონდათ 54 ვაგონი მარგანეცი, ეხლა კი—115 ვაგონი გააქვთ.

---

კავკას-ის სამეურნეო საზოგადოების ბიურო მარტის უკანასკნელ რიცხვებში მიიღებს მეურნეთათვის საჭირო წამლებს: შაბიამანს, გოგირდს და სხვ.

---

ამ დღეებში თფილისის სამოსამართლო პალატას გარდაეცა განსახილველათ საქმე ქუთაისის პოლიცმეისტრათ ნამყოფის კონსტანტინე სვიმონოვისა, რომელსაც სამსახურის დროს დანაშაულობათა ჩადენა ბრალდება.

---

თფილისის პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა მოქალაქეებს, დაავალონ უბნის ზედამხედველებს, რომ სახლის პატრონებს დაათვალიერებინონ ხოლმე „სახლის წიგნები" და მდგმურების სია თვეში ორჯერ.

---

„კვალის" რედაქციამ მიიღო „მოთხრობანი დავით კლდიაშვილისა" გამოცემა ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებისა. წიგნი შეიცავს 198 გვერდს და ღირს 30 კაპ. „სალიტერატურო ქართული" სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა, შეიცავს 239 გვ. და ღირს ერთ მანეთათ.

---

## კორესპონდენციები.

**ს. ლანჩხუთი.** 21 თებერვალს შედგა ლანჩხუთის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წლიური კრება. ეს ამხანაგობა ორი წელია, რაც არსებობს. მიუხედავათ მცირე ხნის არსებობისა, ამხანაგობას დღეს 292 წევრი ყავს. პირველ წელს ამხანაგობას ყოლია 181 წევრი. საწევრო ფული შემოსულა 4549 მან. შესანახათ ყოფილა შემოტანილი 2489 მ. 34 კ. გაუტანიათ ამავე წელში 409 მ. 30 კ. % შემოსულა 641 მ. 93 კ. სხვა-და-სხვა შემოსავალი (პაის, ვექსილის, წესდების... 36 მ. 30 კ. შესანახათ შემოტანილ ფულის % და სამართველოს ხარჯები 173 მ. 3 კ. წმინდა მოსაგები—505 მ. 26 კ. აქედან 40 მ. გადადებულია სათადარიგო თანხათ, დანარჩენი 455 მ. 26 კ. შენობისათვის. მეორე წელს (1901 წელს) წევრათ შემოსულა 111 კაცი. საწევრო ფული შემოსულა 2262 მ. შესანახათ ყოფილა შემოტანილი 5115 მ. 14 კ. გაუტანიათ ამავე წელში 2669 მ. 30 კ. % შემოსულა 1232 მ. 50 კ. ჯარიმის ფული 14 მ. 11 კ. სხვა-და-სხვა... 33 მ. 88 კ. შესანახათ შემოტანილ ფულის, ვადამდე დაბრუნებულ სესხის % და სამართველოს ხარჯები 342 მ. 13 კ. წმინდა მოსაგები—940 მ. 36 კაპ. აქედან მეათედი 94 მ. გადაიდო სათადარიგო თანხათ, დანარჩენი 846 მ. 36 კ. შენობისათვის. ასე რომ დღეს ამხანაგობას ყავს 292 წევრი. 6811 მ. საწევრო ფულით, სათადარიგო თანხათ 144 მან. ინვენტარი—89 მ. 70 კ. მიწა ნაყიდი შენობისათვის—130 მ. გარდა ამისა ორივე წლის მოსაგები—1301 მ. 66 კ. გადადებულია შენობისათვის. ამას უნდა მიუმატოთ ახალი წევრებისაგან შემოსული ზედ-მეტი ფული შენობისათვის—91 მ. 80 კ. სულ—1393 მ. 46 კ. დღეს ახალი წევრისთვის პაი ღირს 30 მ. (ისე კი 25 მ.) სულ გასულ წელს დატრიალებულა [illegible] თამდე. ეს ანგარიში წარმოდგენილი სარევიზიო [illegible] ბამ მიიღო და დაამტკიცა. გარდა ანგარიშის დამტკიცებისა კრ[illegible] ათამდე კითხვა იყო გადასაწყვეტი. ამ კითხვებში ყველაზე[illegible] ჩვენ გვაინტერესებდა ორი კითხვა: 1) რომ კრებას დაედგინა[illegible] დებოთ კრედიტი არავისთვის გაეხსნათ. ამ კითხვამ დიდი [illegible] გამოიწვია. ზოგი ორატორები ამტკიცებენ, რომ მდიდარს და[illegible] ძლებულს თავდები არ სჭირია ისინი მაინც სანდო არიანო. [illegible] გრამ, განა ბევრი ფულის ქონება მეტ ნდობის და პატიოსნ[illegible] ქონებას ნიშნავს! არა და ათასჯერ არა. ესეც რომ არ იყოს ამ[illegible] გობაში მდიდარსაც და ღარიბსაც თანასწორი ფული აქვს შემოტ[illegible] ლი. მაშასადამე, ბანკის კარები ყველასათვის თანასწორ ღია [illegible] იყოს. აქ არავინ პრივილეგიით არ უნდა სარგებლობდეს. უთავდე[illegible] ბა მით არის სახიფათო, რომ ჩვენ თვითონ გვინახავს, ნოემბ[illegible] გახსნილი სესხი დეკემბერში გამოტანა წევრმა. მიზეზი? მიზეზ[illegible] რომ თავდების შოვა გაჭირდა და უთავდებოთ კი მაშინვე გაარ[illegible] ნებდა. კრების დიდი უმეტესობა თანახმა გახდა, რომ დღეიდან [illegible] დიტი არავის მიეცეს უთავდებოთ და კიდევაც დაავალეს საბჭოს [illegible] ვრებს: სრული იმედი გვაქვს საბჭოს წევრები დღეიდან აღარ[illegible] არასასიამოვნო შემთხვევას.

2) არჩევა შენობის აშენების კომიტეტის. [illegible] რომ წელს კიდევ ადრეა კომიტეტის არჩევაო, რადგან საკმაო [illegible] ლი არა გვაქვსო. აბა ვნახოთ. როგორც მკითხველი ხედავს მა[illegible] ბანკს აქვს შენობისათვის დღეს ნაღდათ, მიწას გარდა, 1,393 [illegible] 51 კ. საკითხველოს 500 მანათამდე. აი ამდენი ფულით განა [illegible] შეგვეძლო დღესვე დაგვეწყო შენობა?! სამი წელია, ვიკლავთ თავ[illegible] რამდენი ოქმი არ შევადგინეთ, რამდენი კრება არ მოვახდინეთ, [illegible] მდენი კომისია არ ავირჩიეთ, მარა არ იქმნა და არა! ვერ დავი[illegible] იმ შენობის აგება, რომლის გეგმა სამი წელია, რაც შევადგინ[illegible] ქ. ი. ბანკი, თეატრი და საკითხველო ერთათ. ამ კრებაზე [illegible] ჩვენი უკანასკნელი იმედი და ისიც გაგვიცრუვდა... ბანკს რა უჭ[illegible] საკითხველომ იკითხოს თვარა. იმდენი ნურც თქვენ მტერს და [illegible] მაწყევარს, მკითხველო, რამდენი ვაი-ვაგლახი და გაჭირვება ამ საწყალს უნახავს. ზოგი ქვევით ეწევა, ზოგი ზევით, ზოგი გან[illegible] ამდენ წევაში არაფერი მთელი არ შერჩენია. კარი ნამოემტვრა და ბაწრით არის დაბმული, სახურავი ქარმა აძრო სანახევროთ, სამ[illegible] ველი ისე დაულპა რომ, აქა იქ დიდრონი ჭუჭრუტანებია გაჩე[illegible] ბული.

ამას წინათ „Нов. Об." შეგვატყობინა, რომ საზოგადოთ [illegible] დაწყდა, კავკასიაში რამდენიმე მომრიგებელ სასამართლოთა განყოფილება უნდა დაარსდესო. ლანჩხუთელებმაც მიართვეს თხოვნა სა[illegible] ნადო მთავრობას, რომ ერთი ასეთი დაწესებულება ლანჩხუთში [illegible] ხსნას. ამ დღეებში ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე[illegible] როგორც ნამდვილი წყაროებიდან გავიგეთ, პეტერბურგიდან შეეკ[illegible] თხენ თუ რამდენათ საჭიროა ლანჩხუთისათვის სასამართლო, იმასაც გადაჭრით უპასუხა, რომ უეჭველათ საჭიროაო. ამ ამბავმა ძალიან ბევრი გაახარა...

გრ. ურატაძე.

---

**დ. ხაშური.** აქ ბევრი რამ არის საყურადღებო, მაგრამ ა[illegible] ჟამათ, ვილაპარაკოთ ერთ წოდებულ „მასწრაფის" ფულზე.

„მასწრაფს" აქ უწოდებენ იმ ფულს, რომელსაც ადგილობრივ მამასახლის-მწერლის, გზირ-ასისთავების და სხვათა ჯამაგირებათ კრეფენ... დღემდე მხოლოთ მკვიდრი მცხოვრებნი იხდიდენ ხსენებულ ხარჯს, რაც ძალიან ეცოტავებოდათ სოფლის მოხელეებს. ამან გამოიწვია ის აზრი, რომ დროებით მცხოვრებლებსაც გადაეხდევინებინათ ხსენებული ხარჯი, ვინაიდან ხსენებული მოხელენი იმათაც ჭირდებათო. დროებით მცხოვრებთა რიცხვი კი ასს კომლს დიდათ აღემატება. ამ ჟამათ თითო კომლზე შეწერილია სამ-სამი მანათი და ცამეტ-ცამე-

ცი მაური. საჭიროება კი მოითხოვდა, რომ შეძლების გვარათ გაწერილიყო. აქ ბევრი ისეთი დატაკი მარტო-ხელა კაცია, რომელსაც სადარის მზგავსი ქოხი აქვს და სთვლიან „მეკომურათ", თუმცა ამდიც კი შეწყვეტილია იმის ბუხრიდან მეტი სიღარიბით. ბევრიც ისეთი მდიდარია, რომ ორ-ორ სართულიანი სახლები დაუდგამს და ადგმურებიც ბლომათა ყავს. ახლა, ღარიბები ფულის გამწერლებს ეხვეწებიან: „შეგვიბრალეთ და შეძლების დაგვარათ გადაგვახდევინეთო". მდიდრებიც თავისას ეხვეწებიან: „ისევ ყველაზე ერთნაირათ იყოს გაწერილი, თორემ შეძლების გვარათ რომ გაიწეროს, გადასახდის უმეტესი ნაწილი ჩვენ დაგვაწვება კისერზე და ღარიბები კი თავისუფლათ დარჩებიანო".

ახლა, როგორც ამბობენ, ამ უწესობისათვის დიდი ყურადღება მიუქცევია ადგილობრივ ბოქაულს.

Stepannos.

## რუსეთის ცხოვრება.

9 მარტს პეტერბურგში მოხდა პირველი რჩევა შესახებ საარჩევნო უფლების მიცემისა იმათთვის, რომელნიც ქალაქებში მდგმურათ ცხოვრობენ და სახლის ქირას იხდიან. განზრახვა აქვთ მიცენ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება იმათ, ვინც 39 მანეთს იხდიან თვიურ ქირას.

— 18 ამ თვის დეპეშა იტყობინება მოსკოვიდან: როცა ობერ-პოლიცმეისტერი, გენერალი ტრეპოვი მთხოვნელებს იღებდა, ერთმა მთხოვნელმა ქალმა რევოლვერი ესროლა მას, მაგრამ რევოლვერი არ გავარდა. დამნაშავე, მასწავლებელი ქალი ალარტი, შეიპყრეს. როგორც გამოირკვა, ქ-ნი ალარტი დაპატიმრებულ იქნა თებერვლის უწესოებაში მონაწილეობის გამო, საპატიმროდან ის გაანთავისუფლეს დედის შუამდგომლობით, რადგან ალარტი ავათ იყო.

— „ტორგ.-პრომ. გაზ."-ში დაბეჭდილია მოხსენება ბ-ნ კოვალიოვისა, წაკითხული ეკონომიურ საზოგადოების კრებაზე: მოხსენება შეეხება იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისთვის გლეხებში წერა-კითხვის გავრცელებას. კოვალიოვი თვის მოხსენებაში გამოთქვამს იმ აზრს, რომ ახლანდელ პირობებში წერა-კითხვის ცოდნა ვერაფრით ასწევს სოფლის მეურნეობასო. მისი აზრით, მხოლოთ ჯეროვანი სწავლის შეტანით გლეხობაში, შეიძლება გავრცელდეს საჭირო სამეურნეო ცოდნა, რომელიც სწორე გზაზე დააყენებს მომავალში განსავითარებლათ მეურნეობასო. კრებაზე წარმოთქმული იყო აგრეთვე ის აზრიც, რომ რუსეთის გლეხობა დღეს იმისთანა სიბნელეში იმყოფება, რომ მისი დღიური 16 საათის ნამუშავარი ვერ უწევს კონკურენციას ამერიკელ მუშის 10 საათის ნამუშავარს, რომელიც ორჯერ და სამჯერ უფრო მეტს აკეთებს იმავე დროს განმავლობაში, ვიდრე რუსეთის გლეხი. ამიტომ არ უნდა ვიქონიოთ იმედი ალებ-მიცემობის კაი მოგებისა და მიწის რენტას ჯეროვანათ გაზდისა, წერა-კითხვის ცოდნა და პრაქტიკული მომზადება ერთი უპირველესი პირობაა მუშაობის ნაყოფიერობისა. ხოლო ჩვენ გლეხებს არ შეუძლიათ მოიპოვონ თვით ელემენტალური ცოდნაც-კი, წერა-კითხვის უცოდინარობის გამო. ამიტომ ამას და მივცეთ ჩვენ მეურნეებს საჭირო სამუშაო ხელი, ვიდრე არ იქნება შემოღებული სავალდებულო დადგენილება საყოველთაო სწავლა-ცოდნის შესახებ. ბ-ნმა როვინსკიმ მოიყვანა მაგალითათ სიჩევსკის მაზრა, სადაც მეურნეობა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, რადგან ამ მაზრაში დიდათ გავრცელებულია წერა-კითხვის ცოდნაო. ასეთსავე სურათს წარმოადგენს ვიატსკის გუბერნიაც... შემდევ როვინსკი დათანხმდა იმ აზრს, რომ უეჭველათ საჭიროა საყოველთაო პირველ-დაწყებითი სწავლის შემოღება, მაგრამ ის არ არის თანახმა იმისა, რომ სახალხო სასწავლებლებში სამეურნეო საგანიც შემოლონ. საჭიროა საზოგადო განათლება, თოგორც ერთი [illegible]ღრესი პირობა თვით-მოქმედებისთვისო. ბ-ნი რადეცკი კითხულობს: თუ არავითარი საეჭვო არ არის ინ[illegible] თვის სწავლის მნიშვნელობა, რათ უნდა იყოს [illegible] ხებისთვისო, მაგრამ როგორ უნდა გავრცელდეს ეს სწავლა, აი, ამაშია კითხვა? საჭიროა არა მარტო წერა-კითხვის გავრცელება, არამედ გლეხის გონების განვითარება სხვა მხრივაც, გამეორებითი კურსებით, კითხვების გამართვით, გლეხებში თვით-მოქმედების გაღვიძებით და სხვაო.

— ტეხნიკთა საზოგადოებაში ამ ჟამათ იხილავენ პროექტს მუშათათვის პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ. პოლიტეხნიკუმში მიიღებენ 21 წელზე ნაკლებ მუშებს, ასწავლიან მაშინების დაშლა-აწყობას და მოამზადებენ ოსტატებათ. განზრახვა აქვთ იყოს ორი განყოფილება ორი წლის კურსით თეორიულით და პრაქტიკულით. კურს დამთავრებულთ მიეცემათ ნასწავლ ოსტატის წოდება.

— ვილნოს გუბერნატორს ბრძანება მიუცია სახელოსნო-საშრეწველო დაწესებულებათა პატრონთათვის, 1) რომ მუშებისათვის თვალსაჩინო ადგილას გამოაკრან განცხადება: რომელ საათზე იწყება და თავდება მუშაობა; ამასთან კე სამუშაო დრო მოსვენების დროს გამორიცხვით არ უნდა გაგრძელდეს 10 საათზე მეტს და 2) იქონიონ კარგათ მომუშავე კედლის საათი, რომლითაც განსაზღვრული იქნება მუშაობის და მოსვენების დრო.

— ამა წლის ივლისიდან შეიცვლება არსებული წეს-რიგი ფაბრიკის და ქარხნის დაარსებისათვის. დღეს ვისაც ფაბრიკის ან ქარხნის გამართვა უნდა, თხოვნა და გეგმა შეაქვს ქალაქის გამგეობაში და ამ უკანასკნელის დადგენილებას ამტკიცებს ქალაქის ადმინისტრაცია. ახალის კანონის ძალით კი ასეთს გეგმებს განიხილავს საფაბრიკო ინსპექციის წევრებისაგან შემდგარი სატეხნიკო კომისია.

## საზღვარ-გარეთ.

**გერმანია.** წარსულ კვირის №-ში მოხსენებული გვქონდა ჩვენ უკუღმართი სამართალი გერმანიის მოსამართლისა, რომლითაც გამართლებულ იქნა პოლონელ მოწაფეთა მტანჯველი მასწავლებელი.

გაზ. „Posen. Tageb."-ში დაბეჭდილია ანგარიში სასამართლოს საქმეების შესახებ გერმანელ მასწავლებლებისა და პოლონელ მოწაფეებისა.

როდესაც წარსულ წელს, ამბობს გაზეთი, გერმანიის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ პოლონელ შეგირდებს გერმანულ ენაზე ასწავლონ სადმთო-სჯული, მათმა მშობლებმა წინააღმდეგობა გამოაცხადეს. მათ ჩამოართვეს შვილებს გემანულ ენაზე დაწერილი წიგნები, რომელიც აჩუქეს სასწავლებლებში. ამასთანავე მშობლებმა აუკრძალეს შვილებს, არ მიუგონ მასწავლებლებს პასუხი გერმანულათ მიცემულ კითხვაზე. მოწაფეები ასრულებდენ მშობლების სურვილს. ამის გამო მათ სასწავლებლებში სასტიკათ სჯიდენ. როდესაც მოწაფეები კარცერში დაამწყვდიეს, მკერვალი ფეხმანი მივიდა სასწავლებელში და კარები დაკეტილი დახვდა, მაშინ მან თავისი შვილი ფანჯარიდან გაანთავისუფლა. ამასთანავე დაემუქრა მასწავლებელ-ქალს სიკვდილით. ამავე სასწავლებელში მოვიდა ბულკების მცხობელი ტელეგა, რადგან კარცერში მისი ძმაც დაემწყვდიათ. ისიც [illegible] დაემუქრა მასწავლებელ-ქალს. როდესაც ყმაწვილები გაანთავი[illegible] მასწავლებელ-ქალთან მივიდა ვინმე რიბსკის ქალი და [illegible] გირდის სიმყავის შესხმას. იგივე მასწავლებელი-ქალი წერილით გალანძღა მუშინსკისამ. სასამართლომ განიხილა ეს საქმე—მიუსაჯა: მუშინსკისას და რიბსკისას ათ-ათი მარკა ჯარიმა; ტელეგას—15 მარკა, ხოლო ფეხმანს—სამი დღით დაპატიმრება და 15 მარკა ჯა-

რომ.

**იაპონია.** იაპონიის პრესა საფრანგეთ-რუსეთის კავშირის შესახებ ერთი-მეორის მოწინააღმდეგე აზრებს გამოთქვამს. იაპონიის ერთი გაზეთი, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს იქაურ პრესაში ამბობს, რომ რუსეთ-საფრანგეთის მოქმედება ხშირად შეუთანხმებელი იქნება, რადგან მათი ინტერესები ყველგან ერთნაირი არ არის, და ეს შეუთანხმებელი მოქმედება კი მათ კავშირს ევროპის თვალში ძალას დაუკარგავს. განცალკევებითი დგომა გერმანიის სახელმწიფოთა შორის დიდ ყურადღებას იპყრობს. ზოგიერთთა აზრით რუსეთ-საფრანგეთის კავშირი გერმანიის მიუმხრობლად უღონო იქნება ინგლის-იაპონიის კავშირთან, ამიტომ, რუსეთი ცდილობდა მოეპოვა გერმანიის განწყობილება მხარის დასაჭერათ, მაგრამ ამაოთ.

**საფრანგეთი.** უკანასკნელ დღეებში პალატამ უცაბედის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ პალატის დეპუტატების ვადა თანამდებობაზე გაგრძელდეს ექვს წელიწადს და არა ოთხს, როგორც აქნობამდე იყო. ამ გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თვით ზომიერ-რესპუბლიკანელთა შორისაც. ხოლო დემოკრატთა დასის წარმომადგენლებმა თავ-გამოდებით იბრძოლეს ხალხისთვის არა სასარგებლო დეპუტატთა ვადის გაგრძელების წინააღმდეგ, მაგრამ შეძლებულ კლასთა მომხრეების მიერ საქმე ისე ეშმაკურათ იყო წინათვე დაჭერილი, რომ, დემოკრატებმა ვეღარ შეძლეს ასე უცაბედი შეწყვეტებით ბრძოლაში გამარჯვება.

საქმე იმაშია, რომ რაც უფრო მოკლე ვადით ირჩევენ პალატაში დეპუტატებს, მით უფრო დეპუტატები დამოკიდებულნი არიან თვის ამომრჩეველთაგან, მით უფრო პალატასა და ხალხის შორის მჭიდრო კავშირია და, მაშასადამე, პალატა იძულებულია იმოქმედოს ამომრჩეველთა სურვილისამებრ და ხალხიც უფრო ეცნობა სახელმწიფო საქმეების ავ-კარგიანობას. ხოლო, რამდენათაც დიდია ვადა დეპუტატებისა, იმდენათ ხალხი შორდება სახელმწიფოს მმართველ ორგანოს და მით უფრო ხან-გრძლივათ ეკვრება მას ხელ-ფეხი საქმეში ჩასარევათ. ეს უკანასკნელი ხელ-საყრელია და გამოსადეგი მხოლოთ შეძლებულთა კლასისთვის. ისინი წინეთაც ბევრჯელ ცდილან თვის მიზნის მისაღწევათ, ხოლო ამ უკანასკნელ დროს კი მათ დაეხმარათ თვით საქმის არეულ-დარეულობა. მათ გულითადი სურვილის ასრულებას დაეხმარენ ის პროგრესისტებიც, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ მომავალ არჩევანზე, რომელიც უნდა მოხდეს ამ მოკლე დროში, ისინი უეჭველათ იქნებიან ხელ-ახლა ამორჩეულნი დეპუტატებათ და ამიტომ თვისი პალატაში ყოფნის ვადაც მათ მოისურვეს უფრო ხან-გრძლივი ყოფილიყო. მაგრამ ამას ისინი სიფრთხილით მალავდენ პარლამენტის სხდომის უკანასკნელ დღეებამდე, რადგან კარგათ იცოდენ რა მოელოდა მათ რეაქციონურ განზრახვას თუ ისინი მას წინეთვე გამოაშკარავებდენ. მათ ეს წინადადება შეიტანეს სულ სხვა სახით, ვითომც იგი ეხება მხოლოთ საარჩევნო ცვლილებას ზოგიერთ ოლქებში და მიანდეს პარლამენტში წარსადგენათ ერთ უფერულ რადიკალს, რომელიც ერთნაირათ ემხრობა ხოლმე ლეონ ბურჟუასაც, რიბოსაც და სხვებსაც ერთი-მეორის მოწინააღმდეგეთა წარმომადგენლებს.

მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ შეთქმულ დეპუტატებს მიემხრენ ისინი, ვისაც იმედი აქვს მომავალ არჩევნებზე გამარჯვებისა და მაშასადამე ექვსი წლით, და არა ოთხით (როგორც იყო აქნობამდე) დეპუტატათ ყოფნისა, აგრეთვე მანარქისტები, მელინისტები და თვით ზოგიერთა რადიკალებიც, რომელნიც გაიტაცა 6 წლით დეპუტატათ ყოფნის სურვილმა.

მათ წინააღმდეგ ილაპარაკა დემოკრატმა პელტონმა, ვივიანმა და კლოცმა. თქვენაო, თქვა კამილ პელტონმა ამით უკუღმა ატრიალებთ სახელმწიფოს მართვის ღერძს და უბრუნდებით ნაპოლეონ III-ს დროს, როდესაც საყოველთაო არჩევნების უფლება ფორმალიზმათ გადაიქცა. თქვენ ამბობთ, რომ პალატა ამ უკანასკნელ დროს არჩევნების პოლიტიკამ ჩანთქაო; ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ჭეშმარიტი პოლიტიკა არის მხოლოთ არჩევნობითი პოლიტიკა, პოლიტიკა, რომელიც იცავს უმრავლეს ამრჩეველთა ინტერესებს... [illegible] უბედურებაც სწორეთ იმაშია, რომ არ ვუგდებთ ყურს სახელმწიფოს მოთხოვნილებას და სურვილს. „თქვენს წინადადებასო, თქვა ბოლოს პელტანმა, მიზნათ აქვს დაამოროს ხალხი პალატას, გააძლიეროს შეძლებულ კლასთა გავლენა, ამიტომ ის წინააღმდეგია არამც თუ დემოკრატიის ინტერესებისა, არამედ თვით რესპუბლიკისაცაო“.

**ინგლისი.** ბურების დელეგატების პრეტორიაში მისვლას ლაპარაკა ინგლისის გაზეთები. ისინი ამის შესახებ სხვა-და-სხვა საზრებას გამოთქვამენ. გაზ. „Mat.“-ის კორესპონდენტი სარწმუნო წყაროებიდან შეკრებილ ცნობებით იუწყება, რომ ინგლის-ნიდერლანდის ნოტა ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა 5 თებერვალს. ნოტის პირი პრეტორიაში მიიღეს 1—2 მარტს. მთავარ-სარდალმა კიტჩენერმა ეს ნოტა გაუგზავნა ბურების წინამძღოლთ, და მარტს შალკ-ბურგერმა თხოვა, ინგლისის მთავარ-სარდალს მიცეს მას ნება თავისუფლათ ორანჟეს რესპუბლიკაში წასვლისა შტეინთან და დევეტთან მოსალაპარაკებლათ. კიტჩენერი ამის გამო შეეკითხა ლონდონში, რის შემდეგაც შალკ-ბურგერმა მიიღო ნება ორანჟეს რესპუბლიკაში წასვლისა. ასე რომ არც ბურებს და არც ინგლისელებს არ დაუწყვიათ პირველათ შერიგებაზე ლაპარაკი. პოლიტიკურ უმაღლეს წრეებში ამ ამბავს, ცოტა არ იყოს, არ უყურებენ ოპტიმისტური თვალით. ბუროფილთა დასიდამაც სულ სხვა ხმა გაისმის. ის შალკ-ბურგერის ორანჟეს რესპუბლიკაში მისვლის ნების დართვას აწერენ ინგლისელების მიერ სამაგიეროს გადახდას მეტუენის განთავისუფლებისათვის, ამასთანავე ამბობენ, რომ შალკ-ბურგერი შტეინსა და დევეტს მოელაპარაკა იმაზე, თუ როგორ მოაწყონ ომის ქმე მომავალ ზამთარსო. მიუხედავათ ამისა, კორესპონდენტის აზრით, არ შეიძლება რომ კიტჩენერისა და ბურგერის ერთმანეთთან პირისპირ მოლაპარაკებას სერიოზული მნიშვნელობა არა ქონდეს, რადგან ისინი ლაპარაკობდენ სამი საათის განმავლობაშიო. მაინცა და მაინც ინგლისის მთავრობის მახლობელ სფერაში ძალან ეჭვობენ, რომ ბურებმა ისე წაიყვანონ მოლაპარაკება, რომ შერიგება მოხდესო.

**ირლანდია.** ამას წინათ ჩვენ გაზეთში მოყვანილი გვქონდა იმ დიდი მანიფესტაციის ამბავი, რომელიც ქ. მოდის მეთაურობით გამართეს ირლანდიელებმა საფრანგეთისათვის სიმპატიის გამოსაცხადებლათ. როგორც სჩანს, ირლანდიელებს განზრახვა აქვთ უფრო მჭიდრო დამოკიდებულება იქონიონ საფრანგეთის რესპუბლიკასთან, დამოკიდებულობა არა მარტო სულიერი, არამედ მატერიალურ ინტერესებზე დამყარებული. ამ მიზნისათვის დუბლინის „კელტიურ საზოგადოებას“ (პატრიოტული საზოგადოებაა) გაუმართავს მოლაპარაკება რამდენსამე სანაოსნო საზოგადოებასთან ირლანდიასა და საფრანგეთს შუა პირდაპირ მიმოსვლის გასამართავათ. იმედი აქვს, რომ ამ გზით დიდათ გაუმჯობესდება სავაჭრო და სხვა დამოკიდებულება ირლანდიასა და საფრანგეთშიაც. მიმოსვლა დაიწყება ამ გაზაფხულიდანვე.

— ინგლისის კონსერვატიული მთავრობაც ხედავს ეხლა, თუ რა უკიდურესობამდე მივიდა ირლანდიის მდგომარეობა, და ამიტომ არის, რომ მან დააჩქარა ირლანდიის ახალი აგრარიული პროექტის წარმოდგენა პარლამენტში. პროექტი ვერ აკმაყოფილებს ნაციონალისტების და როსელის მოთხოვნას მამულების ძალდატანებით გამოყიდვის შესახებ, გამოყიდვა ნებაყოფლობით უნდა იქნეს, მაგრამ მაინც დიდ სარგებლობას მოუტანს იგი ირლანდიის ფერმერებს.

ამ ახალი პროექტით უმთავრესი ყურადღება ექცევა არა საიჯარო ქირის განსაზღვრას, როგორც აქამდე იყო, არამედ მამულის საკუთრებათ შეძენას. ფერმერებს მიეცემა წინადადება საკუთრებათ შეიძინონ საიჯარო მიწა. მსურველთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ ინგლისის მთავრობამ უნდა შეიძინოს მამულები ირლანდიაში და შემდეგ ნაწილ-ნაწილ მიყიდოს ირლანდიელ ფერმერებს. ამ საქმის მწარმოებელი იქნება ეგრეთ წოდებული აგრარული კომისია,

მოჯული მემამულე, რომელიც კი მოისურვებს თავის მამულის გაყიდვას, მიმართავს ხსენებულ კომისიას და თხოვს დააფასოს მისი მამული. თუ მემამულე თანახმა იქნება კომისიის დაფასებისა, საჭიროა კიდევ ამ მამულების ფერმერების სამი მეოთხედის თანხმობა, რომ ესენი იყიდონ მათგან იჯარით აღებულ ადგილებს, შემდეგ კომისია ნაღდ ფულათ ყიდულობს მამულს. კომისიას შეუძლია იყიდოს ისეთი მამულიც, სადაც ფერმერები არ არიან, თუ კი საჭირო იქნება ეს მიწა მსურველებისათვის; მასვე შეუძლია მამული გააუმჯობესოს, გამოყოს ნაწილი ღარიბ მოიჯარადრების საერთო სარგებლობისათვის, ტყეების შენახვისათვის და სხვ. ფერმერს შეუძლია ადგილის შესაძენათ 500 გირვანქა სტერლინგამდე სუბსიდიას მიიღოს. პროექტის ფინანსიური მხარე შემდეგია. ნაყიდი მამული, რომელიც კომისიას უნდა ქონდეს მუდამ ხელში, უნდა ღირდეს არა უმეტეს ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგზე. კომისია დაიწყებს ოპერაციებს 247 ათას გირვანქა სტერლინგით. თანხა, რომლითაც ხაზინა დაეხმარება კომისიას, არ უნდა აღემატებოდეს სამ მილიონ გირვანქა სტერლინგს. წლიური გადასახადი მიწის მყიდველ ფერმერებისა არ აღემატება სამ პროცენტს. ფერმერების მესაკუთრეებათ გადაქცევის ხელის შესაწყობათ პროექტში შემდეგი საშუალებაა: თუ ერთი მხარე თხოვს სასამართლოს „სამართლიან იჯარის ფასის" გამორკვევას (ამგვარი წესი არსებობს ეხლა), მეორე მხარეს შეუძლია თხოვოს ხსენებულ კომისიას მიწის საკუთრებათ ყიდვის პირობების გამორკვევა. თუ მემამულე არ არის თანახმა გაყიდოს მამული, სასამართლოში უთუოთ უნდა გამოარკვიოს ახალი საიჯარო ფასი და თუ ფერმერს არ სურს საკუთრებათ შეიძინოს მიწა, იგი კარგავს უფლებას ახალ საიჯარო ფასის თხოვნისას და ძველი იჯარა რჩება კიდევ 15 წლიწადი...

## მთავრობის განცხადება.

„პრავიტ. ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია:

იმ მღელვარებამ, რომელიც უკანასკნელ წლების განმავლობაში სუფევს რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებ შორის, 1901 წლის დასასრულიდან მთავრობის საწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. წინეთ სტუდენტები თხოულობდენ სასწავლებელთა წეს-რიგის შეცვლას; აღნიშნულ დროიდან კი ისინი ამით აღარ კმაყოფილდებიან: მათი ხელმძღვანელნი აკრძალულ კრებებზე სიტყვების წარმოთქმით და მრავალ პროკლამაციების გამოცემით ცდილობენ ახალ-გაზრდობის მოძრაობას პოლიტიკური მიმართულება მიცენ და საჯაროთ აცხადებენ, საჭირო არის შეიცვალოს რუსეთის მართვა-გამგეობის წესიო. ამასთანავე ამ მოძრაობის ხელმძღვანელნი, რა კი იციან, რომ მარტო მოსწავლეთ ძალა არ შეწევთ განახორციელონ ხსენებული განზრახვანი, არსებულ რევოლუციონურ წრეებთან და ჯგუფებთან ერთათ ავრცელებენ მთავრობის საწინააღმდეგო მოძღვრებას საზოგადოებაში და დიდ ქალაქების მუშათა შორის, როგორც სიტყვით, ისე სხვა-და-სხვა ფარულ გამოცემათა საშუალებით. თავის მისწრაფებათა გამოსაცხადებლათ აგიტატორებმა საუკეთესოთ მიიჩნიეს ქუჩებში დემონსტრაციების მოხდენა, რაც კიდევაც ცადეს სხვა-და-სხვა ქალაქში.

ამგვარ დემონსტრაციის მოსახდენათ მოსკოვში არჩეულ იქნა ამ წლის 9 თებერვალი. მაგრამ მთავრობას დაწვრილებული ცნობები მოუვიდა ამის შესახებ და დანიშნულ დღემდე დატუსაღებულ იქნა 47 კაცი, რომელიც მოთავეობდა და ამზადებდა განზრახულ დემონსტრაციას და რომელთაც კიდეც შეადგინათ ერთ-ერთ ფარულ კრებაზე დაწვრილებითი გეგმა დემონსტრაციისა. ამ ღონისძიებით მთავრობამ საკმარისათ შეამცირა მოსალოდნელი დიდი უწესოება, მაგრამ სულ ვერ აიცდინა თავიდან, და 9 თებერვალს მოსკოვის უნივერსიტეტში კიდეც მოხდა უწესოება, რომლის ამბავი უკვე გამოაცხადა საერო განათლების მინისტრმა.

შემდეგ ამისა, 15 თებერვალს მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებლის სტუდენტების წრემ, რომელმაც სახელათ იწოდა „აღმასრულებელი კომიტეტი", გამოაცხადა: ვისაც სურს მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადება, 17 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე მოვიდეს პუშკინის ძეგლთან, სადაც დაიწყება დემონსტრაციაო. აღნიშნულ დროზე პუშკინის ძეგლთან შეგროვდა ხსენებულ სასწავლებლის სტუდენტების წრე, შეუერთდა იქვე მყოფ სხვა ჯგუფს და დაიწყეს თათბირი დემონსტრაციის დაწყების შესახებ: როგორც კი დაძრენ დემონსტრანტები ადგილიდან და გაემართენ „ნიკიტინის ბულვარისაკენ", მათ შემოეხვია პოლიცია და შეაჩერა; ამასთანავე დატუსაღებულ იქნა 11 კაცი, რომელთაც უპოვნეს წითელი დროშა მთავრობის საწინააღმდეგო წარწერით.

როდესაც მთავრობა ბჭობდა ამ უწესოების მონაწილეთა დანაშაულობის შესახებ, მან მხედველობაში მიიღო ყველა გარემოება და გადაწყვიტა ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს დამნაშავენი, რომ აღარ შეეძლოთ სარევოლუციო მოღვაწეობის განგრძობა. ამისთვის განზრახული იყო ყველანი გაეგზავნათ იმპერიის შორეულ ადგილებში დროებით პოლიციის მხედველობის ქვეშ საცხოვრებლათ. ხელმწიფე იმპერატორმა, როდესაც მოახსენეს ეს ამბავი, კეთილ ინება და ბრძანა: ირკუტსკის გუბერნიაში გაიგზავნონ მხოლოთ უმთავრესი დამნაშავენი, დანარჩენებს კი მიესაჯოთ ციხეში დაპატიმრება 3 თვიდან 6-მდე.

ამის მიხედვით უმაღლესმა მთავრობამ გადაწყვიტა: 95 კაცი, რომელნიც პოლიტიკურათ არა კეთილ-საიმედონი არიან და რომელნიც მოთავეობდენ დემონსტრაციას, იგზავნება ირკუტსკის გუბერნიაში 2-დან 5 წლამდე; 567 კაცი დაპატიმრებულ იქნება 3 თვიდან 6-მდე; 6 კაცი პოლიციის მხედველობის ქვეშ იგზავნება დედ-მამისა ან ნათესავების საცხოვრებელ ადგილში, ხოლო 14 კაცის შესახებ საქმე მოსპობილია.

ეს დამნაშავენი არიან: 537—მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, 32—მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებლის სტუდენტი, 13—მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი, 3 მოსკოვის საინჟინერო სასწავლებლის სტუდენტი, 1—აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტის სტუდენტი, 7—გამიჯვნის ინსტიტუტის სტუდენტი, 55—სხვა-და-სხვა კურსების სტუდენტი-ქალი, ხოლო 34 არა მოსწავლე სხვა-და-სხვა წოდების ქალი და კაცი.

ვისაც დაპატიმრება მიესაჯა, ისინი უმთავრესათ არხანგელსკის დროებით საპატიმროში გაიგზავნებიან".

## დოსტები.

მ. გორკისა.

(დასასრული, იხ. № 12).

— სტყუი! ეგ შენი სისულელის გამო.

იცეკვე-ფეხო შეჩერდა, მიბრუნდა ამხანაგისკენ, ცხვირზე თითი გაუქნია და დაუმატა:

— შენი სისულელის გამო არ შეგიძლიან სუნთქვა... ჰო, გაიგე?

მსასოებელმა თავი დაბლა დაიხარა და დამნაშავესავით თქვა:

— ოღონდაც...

მას კიდევ სურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ხველა აუტყდა, მთრთოლვარე ხელებით ხის ღეროს დაეყრდნო და დიდ-ხანს ახველა, თან ფეხებს ერთ ალაგას აბარტყუნებდა, თავს აქნევდა და პირს ფართოთ აღებდა.

იცეკვე-ფეხო ჩაშტერებოდა მისს ჩამომხმარ, მიწის მინაგვარ, მთვარის შუქისაგან გამწვანებულ სახეს.

— ტყის ქაჯებს სულ დაალევინებ შენა...—დაღვრემილათ თქვა მან ბოლოს.

ხოლო როდესაც მსასოებელს ხველამ გადაუარა და თავისუფლათ ამოისუნთქა, იცეკვე-ფეხომ ბრძანების კილოთი უთხრა მას:

— დაისვენე... დავსხდეთ!

და ისინი ნოტიო მიწაზე, ბუჩქების ჩრდილში დასხდნენ.

იცეკვე-ფეხომ პაპიროსი შეახვია, დაუწყო წევა, შეხედა ცეცხლს და თქვა:

— ჩვენ რომ სახლში რაიმე საჭმელი გვქონდეს... შეიძლებოდა კიდეც, რომ შინ დავბრუნებულიყავით...

— ეგ სწორეა...—ჩაიქნია თავი მსასოებელმა.

იცეკვე-ფეხომ ცალი თვალით შეხედა მას და განაგრძო:

— მაგრამ რადგანაც შინ ჩვენ არაფერი გვაქვს, უნდა ვიაროთ...

— ჰო... უნდა...—ამოიოხრა მსასოებელმა.

— მაგრამ სად უნდა წავიდეთ ჩვენ, როდესაც არაჟერი ხეირი არ იქნება... თავი მიზეზი ის არის, რომ ჩვენ სულელები ვართ! ჩვენ იქამდე სულელები ვართ...

იცეკვე-ფეხოს ხმა ჰაერს ჰრიდა და ალბათ დიდ უსიამოვნებას აყენებდა მსასოებელს:—ის მიწაზე ცოდვილობდა, ოხრავდა და უცნაურათ უგრიალებდა მუცელი.

— უჰ, ჭამა კი ძალიან მინდა მე!—დაამთავრა იცეკვე ფეხომ თვისი მომბეზრებელი, საყვედურის მზგავსი ლაპარაკი.

მაშინ მსასოებელი გაბედულათ ადგა ზეზე...

— საით?—კითხა იცეკვე-ფეხომ.

— წავიდეთ.

— ეგრე რათ... წამოხტი.

— წავიდეთ!

— წავიდეთ...—იცეკვე-ფეხოც ადგა.—მხოლოთ უხეიროთ...

— კარგი... რაც იქნება!..—ჩაიქნია ხელი მსასოებელმა.

— გამამაცდი შენცა!..

— მაშ როგორ? მიჯავრდი შენ, მიჯავრდი, მაყვედრე, მაყვედრე... უფალო!

— მაშ რათ იქცევი დაუდევრათ?

— რათა?

— ჰო!

— მე ხომ, მელოდება?

— ვინ? რა?

— ვინ! კაცი!

— კაცი?—გააგრძელა იცეკვე-ფეხომ.—აჰა—დაიჭით, უსუნეთ და გადააგდეთ!.. ეჰ, შე, კეთილო სულო, ფრჩხილის ოდენა ჭკუა არა გაქვს! მერე რა არი შენი ადამიანი? გესმის შენ ეგა? ის აი წაგავლებს ხელს საყელოში და... რწყილივით ფრჩხილით გაგსრესავს! იმ დროს შენ ის, შეიცოდე... ხო! მაშინ შენ მას შენი სისულელე გამოუაშკარავე... ის შენი სიბრალულის სამაგიეროთ... შვიდ-გვარ ტანჯვას მოგაყენებს... შენ წელებს ყველას ხელებზე დაიხვევს .. თითო გოჯს თითო საათობით დაგაძრობს ძარღვებს... ეჰ, შენ... სიბრალული! შენ ღმერთს ევედრე, რომ სრულიათ შეუბრალებლივ მიგბეგვონ და მორჩა! ეჰ, შენ! შენ დაგახველოს წვიმამ! სიბრალული... თფუ!

იცეკვე-ფეხო აღელვებული იყო.

მისი ურჩი ირონიით და ამხანაგის სიძულვილით სავსე ხმა გუგუნით გაისმოდა ტყეში და ჩირგვთა პატარა ტოტები ნელის შრიალით ქანაობდენ, თითქო ამ სასტიკ და მართალ სიტყვებს ეთანხმებიანო.

საყვედურით გულ-დაკოდილი მსასოებელი ნელა მიაბიჯებდა მთრთოლვარე ფეხებს, ქურთუკის ჯიბეებში ჩაეყო ხელები და თავი ჩაექინდრა.

— მოიცადე...—ბოლოს თქვა მან.—რა არის? მე გამოვკეთდები... აი მივიდეთ სოფელში... მე წავალ... მარტო წავალ... შენ სულაც ნუ წამოხვალ. პირ-და-პირ ავკრავ... რაც პირველათ ხელში მომხვდება... მოვუსვამ შინისკენ!.. მივალთ —მე დავწვები! ძალიან ცუდათა ვარ. შენ ნულარას იტყვი.

მისი ლაპარაკი ოდნავ ისმოდა, სული უგუბდებოდა, მკერდში რაღაც უხრიალებდა, უჩუხჩუხებდა. იცეკვე-ფეხომ ... ეჭვის თვალით შეხედა... გაჩერდა, უნდოდა, რაღაც ეთ... ჩაიქნია ხელი და არაფერი არ უთქვამს, განაგრძო გზა...

ისინი დიდ-ხანს მიდიოდენ ჩუმათ და ნელა...

სადღაც, მახლობლათ მამლები ყიოდენ; ძაღლმა ... ყმუილა; შემდეგ სადარაჯო ზარის კაეშნიანი ხმა მოფრ... მახლობელ სოფლის ეკლესიიდან და ტყის მკაცრ სიჩუ... შთაინთქა... მთვარის ამღვრეულ ნათელში, დიდ შავ წე... ლივით, საიდანღაც ჩამოიყურყუმელავა დიდმა ფრინველმ... მისმა აჩქარებულმა სტვენამ და ფრთების შრიალმა ბორ... ბის მომასწავებელ ხმასავით გასცურა ხევში.

— ყვავია... ან არა და ჭილყვავი;—შენიშნა იცეკვე-ფ... ხომ.

— აი რა...—დაილაპარაკა მსასოებელმა და მძიმეთ ... ეშვა მიწაზე,—შენ წადი, მე კი აქ დავრჩები... მე მეტი ა... შემიძლია,—მახრჩობს... თავს ბრუ მესხმის...

— ეჰე!—უკმაყოფილოთ თქვა იცეკვე-ფეხომ.—შენ ... რთლა არ შეგიძლიან?

არ შემიძლიან...

— მომილოცნია დღესასწაული! თფუ!

— მე სრულიათ დავსუსტდი...

— მაშ არა და! დილას აქით არა გვიხეთქია რა, ისე დ... ვეხეტებით.

— არა, ეს, ჩანს, უკვე... ჩემი საქმე გათავებულია! ა... სისხლი როგორ თქაფ-თქაფებს!..

და მსასოებელმა იცეკვე-ფეხოს სახესთან მიიტანა თა... ხელი, რომელიც რაღაც შუქი ნივთიერებით იყო გავსილი... მან დაბღვირა ხელზე და დადაბლებული ხმით თქვა:

— რა უნდა ვქნათ ახლა?

— შენ წადი... მე კი დავრჩები... წამოვწვები... ი... ნებ...

— სად წავიდე მე? სოფელში თუ... ვეტყვი მათ—... ადამიანი ცუდათ არის მეთქი...

— ჰა, უფრთხილდი, არა გცემონ...

— ეგ ევრეა... მათ მხოლოთ მოგასწრონ კი და...

მსასოებელი პირაღმა დაწვა, ყრუთ ახველებდა და პირი... დან სისხლის ნაფლეთები ამოქონდა.

— მოდის?—კითხა იცეკვე-ფეხომ, რომელიც თავს ადგა... მაგრამ სხვა მხრით გაიყურებოდა.

— სწრაფათ მოდის...—ოდნავ გასაგონათ თქვა მსასოებელმა და ხველამ მოუარა.

იცეკვე-ფეხომ უსირცხვოთ და ხმა მაღლა შეიგინა.

— დაუძახოთ ვისმე მაინც!

— ვისა!—ყრუ გამოხმობით გაიმეორა მსასოებელმა.

— ან იქნებ, შენ... შეიძლო, ადგე და ნელ-ნელა ვიაროთ?

— არა...

იცეკვე-ფეხო ამხანაგს თავით დაუჯდა, მუხლებზე ხელებ შემოიხვია და დაუწყო მას სახეში ცქერა. მსასოებლის მკერდი უსწორ-მასწორათ აღიოდ-დაღიოდა, შიგ ყრუ ხრიალი გაისმოდა, თვალები ჩაუცვივდენ, ტუჩები როგორღაც უცნაურათ გაეჭიმნენ და თითქოს კბილებს მიეკვრენო. პირის მარცხენა კუთხიდან ცოცხალი შუქი ნაკადული მოძვრებოდა ლოყაზე.

— კიდევ მომდინარეობს?—ნელა კითხა იცეკვე ფეხომ და მისი კითხვის კილოში იყო რაღაც პატივისცემის მინაგვარი.

მსასოებლის სახე შეკრთა.

— მომდინარეობს...—გაისმა სუსტი ხრიალი.

იცეკვე-ფეხომ თავი მუხლებისკენ დახარა და გაჩუმდა.

მათ ზევით გადმოკიდებულიყო ხევის ნაკვეთი გაზაფხულის ნაკადულთაგან ღრმა თხრილებათ დაკვალული. მის წვეროდან ჩამოიყურებოდენ მთვარით განათებული ბურძგლიანი ხეები, უფრო დაღმართი, ხევის მეორე დასაქანი მთლათ ბუჩქნარით დაფარულიყო; მის მუქ ხროვიდან აქა იქ აზიდულიყვენ ვერხვთა ნაცრისფერი ღეროები და მათ შიშველ ტოტებზე ნათლათ მოჩანდენ ჭილყვავების ბუდეები... მთვარის სინათლით მოცული ხევი ემსგავსებოდა სიზმარს, მოწყენილ ძილს, ცხოვრების ფერადთა მოკლებულს; ნაკადულის ნელი ჩხრიალი კი უფრო აორკეცებდა მის უსიცოცხლობას, მის ხმაში გაისმოდა კაეშნიანი სიწყნარე.

— ვკვდები...—ოდნავ გასაგონი ხმით წაიჩურჩულა მსასოებელმა და ამის შემდეგ ხმა-მაღლა და გარკვევით გაიმეორა: —მე ვკვდები, სტეფანე!

იცეკვე-ფეხო მთელი სხეულით შეხტა, დაფაცურდა, ამოიფშვინა და რა აიღო თავი მაღლა, აღშფოთებულათ, ნელა, თითქოს ეშინიან არავის დავუშალოო რამეო, დაილაპარაკა:

— შენ ნუ... ნუ გეშინიან! არაფერია... ეგ იქნებ, ისე უბრალოთ... არაფერია, ძმაო! ღმერთმანი!

— უფალო იესო ქრისტე...—მძიმეთ ამოიოხრა მსასოებელმა.

— არაფერია!—ჩურჩულობდა იცეკვე-ფეხო და დახრილიყო მის სახისკენ.—შენ ცოტა გამაგრდი... იქნებ... გაიაროს..

მაგრამ მსასოებელმა ხველა გააბა; მის მკერდიდან ახალი ხმა მოისმა—თითქოს მის ნეკნებს სველ ტილოს უთხლაშუნებენო. იცეკვე-ფეხო მიჩერებოდა მას და ჩუმათ ულვაშებს აცმაცურებდა. ხველამ რომ გადაუარა, მსასოებელმა იწყო ხმა მაღლა და ნაწყვეტ-ნაწყვეტათ სუნთქვა; ისე სუნთქავდა, თითქოს რაც ძალა და ღონე აქვს გარბის სადმეო.

— მომიტევე, სტეფანე... უკეთუ რაიმე... აი ცხენის გულისთვის... მომიტევე, ძმაო!..

— შენ მე მომიტევე...—გააწყვეტინა იცეკვე-ფეხომ მას ლაპარაკი და სიჩუმის შემდეგ დაუმატა:—მე... სად წავიდე ახლა? და როგორ ვიყვე?

— არაფერია უფალმა მოგცეს შე...

მან ვერ დაამთავრა სიტყვა, ამოიოხრა და გაჩუმდა.

შემდეგ ხრიალი დაიწყო... მერე ფეხები გაჭიმა... ერთი მათგანი გვერდზე გასწია...

იცეკვე-ფეხო თვალის მოუშორებლივ მიჩერებოდა მას. წამები, საათებათ ეჩვენებოდა.

აი მსასოებელმა თავი მაღლა აიღო; მაგრამ მაშინვე კინწი მოსწყდა და უძლურათ დაეცა მიწაზე.

— რა არის, ძმაო?—დაიხარა მისკენ იცეკვე-ფეხო.

მაგრამ მან, უკვე დამშვიდებულმა და უძრავმა, პასუხი არ მისცა.

სასტიკი იცეკვე-ფეხო ცოტა ხანს კიდევ იჯდა ამხანაგის მახლობლათ, შემდეგ კი ადგა, მოიხადა ქუდი, პირჯვარი გამოისახა და ნელა გასწია ხევის გასწვრივ. სახე ჩამოექრუშა წარბები და ულვაშები აებურძგენ და ისე მაგრა სცემდა ფეხს სიარულის დროს მიწას, თითქოს სურს მას ტკივილი აგრძნობინოსო.

უკვე ნათდებოდა. ცა ყომრალი, უალერსო იყო; ხევში დაღვრემილი სიჩუმე სუფევდა; მხოლოთ ნაკადულს გაქონდა თვისი ერთგვარი, მიმქრალი რუკ-რუკი, ისე კი, რომ არავის არაფერს უშავებდა.

მაგრამ აი გაისმა შრიალი... ალბათ მიწის გუნდა ჩაგორდა ხევის ფსკერში. გაიღვიძა ჭილყვავმა და, რა შეყვირა აღშფოთებულათ, სადღაც გაფრინდა. შემდეგ ჭინჭრაქამაც დაიჭმაურა. ხევის ნოტიო, ცივ ჰაერში ხმები დიდხანს არა სცოცხლობენ და ერთ წუთს ქრებიან...

ვანო [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

## ჩინოვნიკის სიკვდილი.

ა. ჩეხოვისა.

ერთ შვენიერ საღამოს, არა ნაკლებ შვენიერი ეგზეკუტორი, ივანე დიმიტრის ძე ჩერვიაკოვი, იჯდა პარტერის მეორე რიგში და ბინოკლით უყურებდა „კორნევილის ზარებს“. პუსტიაკოვი ისმენდა სიმღერა-გალობას და თავის-თავს ნეტარების მწვერვალზე გრძნობდა. მაგრამ უცებ... მოთხრობებში ხშირათ შეგვხვდება ხოლმე ეს „მაგრამ უცებ“. ავტორები არცა ტყუიან: ცხოვრება მეტათ სავსეა უცაბედობით! მაგრამ უცებ სახე დაელმიჭა, თვალები მოებრუწა, სუნთქვა შეუდგა... ბინოკლი მოიცალა თვალებიდან, დაიხარა და... „აპცხი“!., დააცემინა. როგორც ხედავთ, ცხვირის დაცემინება არავის და არსად არ ეძრახება. აცემინებენ ცხვირს გლეხებიც და პოლიცმეისტრებიც; ხან-და-ხან ტაინი სოვეტნიკებიც კი. ყველანი აცემინებენ. ჩერვიაკოვსაც სრულებით არ შერცხვენია. ცხვირსახოცით მოიწმინდა ცხვირ-პირი და, როგორც ზრდილობიან კაცს შეეფერება, მეზობლებს თვალი მოავლო ნეტრწყო ხომ არავის მოვახვედრეო. მაგრამ ეხლა კი აიტკრიცა, შერცხვა.. ჩერვიაკომა დაინახა, რომ პირველ რიგში მჯდომი მოხუცი გულ-დასმით იწმენდავდა მოტვლეპილ თავს და კისერს ხელ-თათმანით და თან რაღაცას ბუტბუტებდა. ეს მოხუცი იყო სტატსკი ღენერალი ბრიზჟალოვი, რომელიც გზათა უწყებაში მსახურებდა.

„უთუოთ ნერწყო მოხვდა!—გაიფიქრა ჩერვიაკოვმა.—ჩემი უფროსი არ არის, სხვისაა, მაგრამ მაინც სირცხვილია. ბოდიში უნდა მოვიხადო“.

ჩერვიაკოვმა ჩაახველა, გადიხარა წინ და ღერენალს ყურში ჩაჩურჩურა:

— მომიტევეთ, თქვენო აღმატებულებავ, ნერწყო მოგახვედრეთ... მე უცაბედათ...

— არა უშავს-რა, არაფერია...

— ღვთის გულისათვის, მაპატიეთ. მე ხომ... არ მინდოდა!

— ოჰ, იჯექით, გეთაყვა! ნუ მიშლით ყურის გდებას.

ჩერვიაკოვს შერცხვა, სულელურათ გაიღრიჯა და ღენერალს ზურგში დაუწყო ცქერა. წარმოდგენას უყურებდა, მაგრამ წინანდელ ნეტარებას კი ველარა გრძნობდა. მოუსვენრობა ტანჯავდა. ანტრაქტის დროს ჩერვიაკოვი მივიდა ბრიზჟალოვთან, ჯერ ახლო გაუარ-გამოუარა და მოერია-რა, კრძალვას, წაილუღლუღა:

— ნერწყო მოგახვედრეთ, თქვენო აღმატებულებავ... უკაცრაოთ, მაპატიეთ... მე ხომ... ისე კი არა რომ..

— ოხ! გეკმარებათ... მე კიდეც დამავიწყდა და თქვენ კი ისევ იმასვე იმეორებთ!—თქვა ეს ღენერალმა და თანაც ქვემოთა ტუჩი მოუთმენლათ შეათამაშა.

„დამავიწყდაო და ბრაზი კი თვალებში აქვს მორეული,—გაიფიქრა პუსტიაკოვმა და ეჭვის თვალით შეხედა ღენერალს.—არც კი უნდა რომ ხმა გამცეს. უნდა ავუხსნა, რომ მე სრულებითაც არ მსურდა... რომ ეს ბუნების კანონია, თორემ იფიქრებს, რომ მაგისი შეფურთხება მინდოდა. ეხლა შეიძლება არ იფიქროს, მაგრამ მერე იფიქრებს!“

როცა სახლში დაბრუნდა ჩერვიაკოვმა უამბო ცოლს თავის უზრდელობის შესახებ. ცოლმა მაინცა-და-მაინც დიდი ყურადღება არ მიაქცია ამ ამბავს, როგორც ჩერვიაკოვს მოეჩვენა; ცოლს ერთ-ხელათ შეეშინდა, მაგრამ მერე, როდესაც გაიგო, რომ ბრიზჟალოვი „სხვისაა“, დაარხეინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგრამ მაინც წადი, ბოდიში მოიხადე, — უთხრა ცოლმა იფიქრებს, რომ საზოგადოებაში თავის დაჭერა არა გცოდნია!

— აი კიდეც ეგ არის და! მე ბოდიშს ვიხდიდი, მაგრამ რაღაც ახირებულად მომექცა... რიგიანათ ერთი სიტყვა არ უთქვამს, მაგრამ ლაპარაკის ალაგიც არ იყო. მეორე დღეს ჩერვიაკოვმა ჩაიცვა ახალი ვიცმუნდირი, შეაკრეჭინა თმა-წვერი და გასწია ბრიზჟალოვთან, რათა აეხსნა... ღენერლის მისაღებ ოთახში რომ შევიდა, იქ მრავალი მთხოვნელი დაინახა და მათ შუა თვით ღენერალი, რომელსაც დაეწყო კიდეც მთხოვნელების მიღება. რამდენსამე მთხოვნელთან გამოლაპარაკების შემდეგ, ღენერალმა შეხედა ჩერვიაკოვსაც.

— გუშინ „არკადიაში“ თუმც მოიგონებთ, თქვენო აღმატებულებავ დაიწყო მოხსენება ეგზეკუტორმა, — მე ცხვირს დავაცემინე და... ანაზდეულად ნერწყო მოგახვედრეთ... მაპ...

— ნეტავი თქვენ... საკვირველია ღმერთმანი!..

— თქვენ რა გნებავთ? — მიუბრუნდა ღენერალი შემდეგ მთხოვნელს.

„ხმის გაცემაც არ უნდა! გაიფიქრა ჩერვიაკოვმა, და თანაც გაფითრდა. — მაშასადამე გაფითრებულია... არა, ამისი ასე დატოვება შეუძლებელია... მე აუხსნი...

როდესაც ღენერალმა გაათავა საუბარი უკანასკნელ მთხოვნელთან და გაემართა თვის განსაცხრომელისაკენ ჩერვიაკოვმა ერთი ნაბიჯი წადგა იმისკენ და წაილუღლუღა.

— თქვენო აღმატებულებავ! თუ მე ვბედავ თქვენი აღმატებულების შეწუხებას, მარტო და მხოლოთ უნდა მოგახსენოთ, გრძნობა შენანებისა!.. რომ განგებ არ იყო, ეს თქვენ მოგეხსენებათ.

ღენერალი დაიღმიჭა, ასე გონია ტირილს აპირებსო და ხელი ჩაიქნია.

— ეს დაცინვაა. მოწყალეო ხელმწიფევ! თქვა ღენერალმა და კარებს მიეფარა.

„აქ რა დაცინვაა? გაიფიქრა ჩერვიაკოვმა. აქ სრულიათ არავითარი დაცინვა არ არის! ღენერალი კია, და ეს ვერ გაუგია! მაშ აგრე, ამ ჟორჟმუტის წინაშე აღარც ბოდიშს მოვიხდი და არაფერს! თავში ქვა ირტყამს! წერილს მოვწერ და მოსვლით კი აღარ მოვალ! ღმერთმანი აღარ მოვალ!

ასე ფიქრობდა შინ მიმავალი ჩერვიაკოვი. ღენერლისათვის წერილი არ მიუწერია. იფიქრა, ბევრი იფიქრა, მაგრამ წერილის დაწერა ვერ მოახერხა. მეორე დღეს კიდევ მოუხდა წასვლა ასახსნელათ.

— მე გუშინ გიახელი და თქვენი აღმატებულება შევაწუხე, — წაილუღლუღა ჩერვიაკოვმა, როდესაც ღენერალმა დაკითხვით შეხედა მას, — იმისათვის კი არა, რომ დამეცინა, როგორც თქვენა ბძანეთ. მე იმის გამო ვიხდიდი ბოდიშს, ცხვირის დაცემინების დროს ნერწყო მოგახვედრეთ... დაცინვა კი სრულებით აზრათაც არ მომსვლია. განა მე გავბედავ თქვენ დაცინვას? უკეთუ ჩვენ დაგცინებთ, მაშასადამე არავითარი პატივისცემა დიდებული გვამისა... არ იქნება...

— დაიკარგე!!. — შეუყვირა უცებ მთლათ გალურჯებულმა და აცახცახებულმა ღენერალმა.

— რა ბძანეთ? — ჩაეკითხა შიშისაგან თავზარ დაცემული ჩერვიაკოვი.

— დაიკარგე!! — გაიმეორა ღენერალმა და თან ფეხები დაუბარტყუნა.

ჩერვიაკოვს მუცელში რაღაცა ჩაწყდა. თვალთ დაუბნელდა, ყურები გაუბრუვდა. დაიხია უკან კარებისაკენ, გამოვიდა ქუჩაში და წარაცრაცდა... მოვიდა გამოჩერჩეტებული სახლში, ვიცმუნდირი არ გაუხდია, ისე დაწვა დივანზე და... მოკვდა.

ი. გომელაური.

## სამშობლოს ცაზე.

ერთობ ბედნიერი ხალხი ვართ ჩვენ ქართველები, [illegible]ნდა, რომ ჩვენზე არა ზრუნავდეს! ზოგი ამ საიქიოს გვიშენებს ედემის ბაღს, (ი. როსტომაშვილის სამეურნეო კურსები) და ზოგი კი იმ საიქიოსაც არ გვანებებს თავს და ტრტვინავს სულისა ჩვენისა საოხათ. რა გინდა ძამია! ამ საიქიოს იჯექი და ჭამე ნუგბარ-ნუგბარი კიტრები! ამაზე უკეთესი რაღა იქნება. აქ ი. როსტომაშვილის წყალობა ნუ მოგაკლოს ღმერთმა და იქით გასამგზავრებლათ ხომ აგერ უკვე დაარსდა ესრეთ წოდებული თფილისის სამარხი კასსა.

ნეტარარს კაცი, რომელი ჩავარდება ამ კასაში და აქ შიმშილ-სიცივით სულ ამომძვრალი იქ მაინც თბილ მიწას გაიჩენს.

ის მხოლოთ მაშინ მიხვდება რა მადლ-მოსილი საქმე უქნიათ მის დამმარხველ კასის დამაარსებელთ, მაგრამ შეძლებსლა იმ ცოტა არ იყოს უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა, მადლობა შემოუთვალოს შესანიშნავ მოღვაწეთ? აი კითხვა, რომელიც უნდა გადასწყდეს მესაფლავეთა მომავალ კრებაზე. და რადგან ჯერჯერობით უმავთულო დეპეშა ვერა ლაპარაკობს იმისთანა დიდ მანძილზე, როგორიც აქედან იმ საიქიომდე გახლავთ, ამიტომ შესაძლებელია თვით კასა იქნას იქითკენვე გაგზავნილი.

ასე იქნება თუ ისე, ფაქტი მაინც ფაქტათ რჩება და უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვენმა კულტურულმა განვითარებამ უაღრეს წერტილამდე მიაღწია.

ჩვენ, დედამიწაზე ნეტარების წყაროთი მონათლულნი, აღარ ვკმაყოფილდებით ცოცხლებზე ზრუნვით და იმ საიქიოსაც კი წინეთვე ვიმზადებთ ბუნაგს.

ამ წუთას ჩემ წინ გადაშლილთა ამ მესაფლავეთა საზოგადოების „უსტავი“. გესმით „უსტავი“! ამ „უსტავის“ ძალით ყოველი წევრი დედამიწაზე უნდა მოკვდეს და შესაძლებელია მას საბანიც კი არ გააჩნდეს, მაგრამ სამაგიეროთ დახუჭავს თუ არა თვალებს „კასსა“, მაშინვე დიპა-ხავერდით გადასუდრავს.

ამავე „უსტავის“ ძალით, როგორც გვაუწყებს 3 მუხლი, ყოველი სიკვდილის სურვილით გატაცებული, მოვალეა წარდგეს მასაფლავეთა კრებაზე და მკვდართა შორის წევრათ ჩაწერისთვის წარადგინოს ცნობები, მეტრიჩესკები, მოწმობები; როდის და ვისგან დაბიადა, რა ჯანლონის პატრონია და როდის აპირებს სიკვდილს. უყვარს თუ არა მას სიკვდილის ჟამს მუსიკა, რომ მეზარეებმა დაატკბონ მისი გული და ღრიალით დაიცვან ქართული „ძველი ჩვეულებანიც“.

ერთი სიტყვით, წევრობის მოსურნეს მოუხდება მისცეს პასუხი მრავალ იმისთანა კითხვებზე, რომელზედაც მხოლოთ გამოცდილი მკვდარი თუ შეძლებს მიგებას.

ამავე „უსტავის“ ძალით საწევრო მხოლოთ სამი მანეთია საჭირო; როგორც ხედავთ ბევრით იმაზე ნაკლები, ვიდრე ამიერ-კავკასიის რკინის გზით გამგზავრება ჯდება. ამ ორ დაწესებულებას შორის განსხვავება, მხოლოთ ფასშია, ხოლო რაც შეეხება გულზე ხელების დაკრეფას უკანასკნელი უფრო ადრე მიგახწევინებთ მიზანს რომელსამე ხიდზე, ან ბოგირზე სიალტრიალით დაჯახ-შემოჯახებით.

*
* *

არა ნაკლებ საყურადღებოა ესრეთ-წოდებული „მექათმეთა ამხანაგობაც“. ამ რაზმის მებაირახტრეთ გამოვიდა შარშან ალექსანდრე ნებიერიძე. ზოგი თუ სულისთვის ზრუნავს, ამას ჩვენი კუჭები შეებრალა და დაგვპირდა ერთ დიდ საქათმეს რაღაც საკვირველი ჯიშის ქათმებით, რომელნიც დაგვატკბობენ არამც თუ ნაზი ხორცით, არამედ დიდრონ კვერცხებითაც. თითქმის ერთი წელიწადია, რაც ბ-ნმა ნებიერიძემ ქათმების

სასარგებლოთ ფულები შეკრიფა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არც ერთ მამლაყინწას არ დაუყვლია საქათმიდან და არც ერთი კვერცხი არ გამოჩეკილა. მაგრამ შესაძლებელია ის შესანიშნავი ქათმები, იმით იყვენ მხოლოთ შესანიშნავნი, რომ ჩვენი ჯიბიდან ამოკაკანდენ და კვერცხი კი სხვათა საბუდარში დადეს! ვაი ჩვენი ბრალი! რამდენი კუჭ-მოშლილი ელოდა იმ ლაპრულ სანოვაგეს, და ახლა, მას კუჭთან ერთათ გუნებაც ეშალა, ვინაიდან ცარიელი საქათმის საწირავით ჩვეულებრივ ქათამს მაინც იყიდდა.

## ბავარიის პირველ-დაწყებითი სკოლების მომავალი.

(ბავარიის ლანდტაგიდან).

ბავარიის პრესის და მცხოვრებთა ყურადღება დღეს ბავარიის ლანდტაგზეა მიქცეული. მიუნხენი ამოძრავდა. ლანდტაგის საქმეები ყველას ენაზე ადგია. კრება კრებებზე ინიშნება. დღემდის რომ ბავარიელისთვის გეკითხათ, ლანდტაგი რას აკეთებსო, სძინავსო, გეტყოდა. დაინიშნება კრება, მივლიან, ილაპარაკებენ უბრალო საქმეებზე, დაამტკიცებენ რამე ანგარიშს და დაბრუნდებიან უკან. ახლა კი სხვანაირათ არის საქმე. დილას და საღამოს კრებები ინიშნება, ორი მიმართულება ერთმანეთს დაეჯახა, ბრძოლა გაცხარდა. დღევანდელი ლანდტაგის კითხვა ცოტათ თუ ბევრათ საინტერესოთ მიმაჩნია და ამისთვის ნებას ვაძლევ ჩემ თავს პატივცემულ მკითხველთა ყურადღება შევაწუხო და საქმის მდგომარეობა გავუზიარო.

კითხვა ეხება პირველ-დაწყებით სახალხო სკოლებს და მათ მასწავლებელთ. ბავარიის სკოლების დღევანდელი მდგომარეობით კმაყოფილი არ არის ლანდტაგის ერთი მხარე; მან საჭიროთ დაინახა არსებული კანონების შეცვლა და სკოლებისათვის ახალი კანონების შემოღება. თავდაპირველათ კითხვა წამოაყენეს იმისთანა პირებმა, რომელთაგანაც ყველა მოელოდა თავისი მოძმეების ინტერესების დაცვას და გამოსარჩლებას, რადგან თავისი პროფესიით ორი მათგანი მასწავლებელია და ერთიც მღვდელი: სიკენბერგერი, ვერლე და მამა კოლი. მართლაც და ერთი შეხედვით მასწავლებელმა მასწავლებლის ინტერესი უნდა დაიცვას, სადაც უნდა იყოს, მიუხედავათ იმისა რომ მასწავლებლები ერთი-მეორისაგან განირჩევიან. ერთი, მაგალითათ, ქალაქში საშუალო სასწავლებელში მასწავლებლათ (როგორც ბბ. სიკენბერგერი და ვერლე) და მეორე კი სოფელში შრომობს პირველ-დაწყებით სკოლაში. ისიც მოსალოდნელია, რომ მღვდელმაც, როგორც სასულიერო პირმა, მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესობაზე უნდა იზრუნოს. მაგრამ ცენტრის პარტია რა პარტია იქნება, თუ საკვირველება არ წამოთქვა რამე. ამ ვაჟ-ბატონთ მოეჩვენათ, რომ პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებლები ნამეტან კარგ მდგომარეობაში არიან, ბევრ ჯამაგირს იღებენ და სახელმწიფო უფლებებითაც სარგებლობენ სხვა სახელმწიფო მოსამსახურეებთან ერთათ. ამისთვის ურიგო არ იქნება მასწავლებლებს ჯამაგირი მოვაკლოთ და უფლებებიც შევუმციროთო. თვით სკოლებიც ნამეტან დაცილდნენ თავის წმინდა მიზანს, რადგან საეკლესიო საგნების სწავლება დღევანდელ სკოლებში ცუდათ არის დაყენებული და ამისათვის საჭიროა, რომ სკოლის ხასიათიც გამოიცვალოსო. რეფერატი შეადგინა და წაიკითხა კოლმა და, რასაკვირველია, მთელმა ცენტრის პარტიამ კვერი დაუკრა.

მოსალოდნელი იყო, რომ სახალხო განათლების მინისტრი ახალი მოთხოვნილებების წინააღმდეგი იქნებოდა, რადგან გერმანელის შეხედულობით მინისტრი ხალხის მოსამსახურეა, მაშასადამე, განათლების მინისტრიც ხალხის მოსამსახურეა და მის კარგ განათლებაზე უნდა იზრუნოს. მაგრამ მინისტრი სრულებით დაეთანხმა ცენტრს, რაზედაც ახალი კანონის მოწინააღმდეგეთ უსაყვედურეს მინისტრს, რომ მთავრობას თავის-თავათ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, ის ყურ-მოჭრილი მონაა ცენტრის და რასაც ცენტრი უბრძანებს, იმას ასრულებსო.

კოლმა შემდეგ ნაირათ განმარტა თავისი პარტიის მოთხოვნილებები: პირველი მოთხოვნილების შესახებ, სახელდობრ, რომ მასწავლებელთ ჯამაგირი მოაკლდეთ, მან ის აზრი გამოთქვა, რომ დღეს მასწავლებლებს ნამეტანი ბევრი ჯამაგირი ეძლევათო. სახელმწიფო კი ფინანსიურათ გაჭირვებულ მდგომარეობაშია და რომ სახელმწიფოს დეფიციტი შეივსოს, საჭიროა მასწავლებელთ ჯამაგირი მოაკლდეთ, სახალხო განათლების ბიუჯეტი 10 მილიონიდან 7 მილიონამდე შემცირდეს და იმ ქალაქებში, სადაც 10 ათასი მცხოვრებია, სკოლები თვით მცხოვრებთ შეინახონ. 1,200 მარკა საკმარისია მასწავლებლისთვის (პირველ-დაწყებითი სკოლის, თორემ საშუალო სკოლის ჯამაგირზე რომ ეს ეთქვათ, პირველათ სიკენბერგერი ამოიღებდა მის წინააღმდეგ ხმას), ქალისთვის ესეც ხომ ბევრია და მას 1,000 ან 900 მარკაც ეყოფაო.

სკოლების ხასიათის გამოცვლის შესახებ შემდეგი აზრი გამოთქვა ცენტრმა ლანდტაგშიაც და მის გარეთაც: „სკოლა არის დამხმარე დაწესებულება ოჯახისთვის, ეკლესიისთვის და სახელმწიფოსთვის. დღემდი ასე იყო და შემდეგისთვისაც ასე უნდა დარჩეს“. ეს სიტყვები დიდი პათოსით და თავ-მოწონებით წარმოთქვა მასწავლებელმა ვერლემ, ცენტრმა მას ხმა მისცა და თანაც დაუმატა: „ეკლესია თხოულობს განუსაზღვრელ თავისუფლებას სწავლებაში“. ეს იმას ნიშნავს, რომ სწავლის უფლება მარტო ღვდლებს უნდა ქონდეთ და არა სხვებს. 1887 წელში კი სამღვდელოებამ თავის კრებაზე ქ. ტრირში დაადგინა, რომ მას ქონდა მხოლოთ საკუთარი სკოლები და მთელი სახელმწიფოს სკოლები ხელში ჩაეგდო. „სკოლას არასოდეს არ შეუძლია გახდეს სახელმწიფო დაწესებულებათ, ის არის ეკლესიის ორგანიზმის ნაწილი. სკოლაზე ყურადღების მიქცევა კათოლიკეთა ეკლესიის ვალდებულებას შეადგენს; მას არ შეუძლია უყურადღებოთ დატოვოს სარწმუნოებრივი განათლება; მან უნდა თვალი ადევნოს ისტორიის სწავლებას და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სახელმძღვანელოებს. წინააღმდეგ შემთხვევაში კათოლიკეთა ცხოვრება თითქო კვდება. დღევანდელ სკოლაში სარწმუნოებრივი განათლების მიღება შეუძლებელია. მაში მხოლოთ დუალიზმია. ამისათვის საჭიროა მოისპოს ეგრეთ-წოდებული „საზოგადო შკოლა“ (Simultanschuie) და დაარსდეს საეკლესიო, კონფესიონალური სკოლა. „ჩვენ დიდი ღვაწლი მიგვიძღვის საერო განათლების წინაშე, გამოცდილებით ვიცით თქვენზე უკეთ, რომ ჩვენი კანონი კარგია და ამისთვის მისი სისრულეში მოყვანა საჭიროთ და სასარგებლოთ მიგვაჩნიაო“, რიხით გადაძახეს კლერიკალებმა ლანდტაგის მარცხენა მხარეს.

ამისთანა კანონით, რასაკვირველია, უკიდურეს მემარცხენეთა დასი კმაყოფილი არ დარჩა: მან პირველათ ამოიღო მის წინააღმდეგ ხმა და მას მიუკედლა ბავარიის ლანდტაგის მთელი მარცხენა მხარე. (ლიბერალები და დემოკრატები) დღემდის ერთმანეთთან შეუთანხმებელი უკიდურესი მემარცხენენი და ლიბერალები ამ კითხვამ შეაერთა და დღეს მის წინააღმდეგ ორივ ერთათ იბრძვიან. ერთმა მემარცხენემ ლიბერალებს გადაძახა: „იმედი მაქ, რომ წინანდებურათ არ გავცალკევდებით და დღეს ერთმანეთს შევუერთდებითო“. ამაზე ლიბერალების წარმომადგენელმა დ—რ კაზელმანმა უპასუხა: „კარგათ იყავით, და ჩვენ მგონი ამ კითხვაში შევუერთდეთო“. ამ სიტყვებმა ძლიერ გაამწარა ცენტრი, ცეცხლი მოეკიდათ და ლიბერალებს შემდეგი საყვედური უთხრეს: „ბ. კაზელმანის სიტყვები მომაკვდავის მუდარს მოგვაგონებს. ლიბერალები კვდებიან და მემარცხენეთა ახალგაზდა პარტიას ხელს უწვდენენო“. მაგრამ ამისთანა სიტყვებმა ვერ დააფთხო ლიბერალები. ლანდტაგის მარცხენა მხარემ შემდეგი წინადადება წარადგინა: მან განმარტა პირველდაწყებითი სკოლის დანიშნულება და მისი საჭიროება: სკოლა არის სახელმწიფო საზოგადო სასწავლო დაწესებულება (Stastsgemeinde Lehranstale); მისი დანიშნულებაა კარგი განათლება მისცეს მოსწავლეებს. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შკოლას კარგი მასწავლებელი ყავს. ამისთვის მასწავლებლებს უნდა მიენიჭოს სოციალური უფლებები. პირველ-დაწყებითი სკოლების არსებობაში დაინტერესებულია მხოლოთ ღარიბი ხა-

ლხი და არა მდიდარი. მდიდარს შეუძლია კერძო განათლება მისცეს თავის შვილს და უმეტეს ნაწილათ ასედაც იქცევა. ღარიბი კი იძულებულია თავისი შვილი პირველ-დაწყებით შკოლაში მისცეს. ამისთვის სწავლა შკოლაში უნდა შესაფერი იყოს დღევანდელ პირობებთან. ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არი. კმარა მხოლოთ პესტალოცცის სიტყვები მოვიგონოთ: „ერის მომავალი შკოლაში მდგომარეობს“. მასწავლებელს უნდა მიენიჭოს ყოველი ის უფლება, რაც სხვა სახელმწიფო მოსამსახურეს აქვს ჯამაგირი არა თუ უნდა მოაკლდეს, წინააღმდეგ უნდა მოემატოს, რადგან დღევანდელი ჯამაგირი არ ყოფნის. ამასთანავე ქალს და კაცს ერთნაირი ჯამაგირი უნდა ქონდეთ.

გამოანგარიშებით მასწავლებელს, რომელსაც ყავს მამა, დედა, ცოლი და სამი შვილი, წელიწადში სჭირდება უკანასკნელი 1500 მარკა (698 მანათამდე), დღევანდელი კანონი კი მას მხოლოთ 1200 მარკას უნიშნავს. როდესაც მინისტრს შეეკითხენ: რა ქნას მასწავლებელმა, რითი იცხოვროს, რა იშოვნოს, რომ თავისი დეფიციტი შეავსოსო, მინისტრმა სრულიათ უბრალოთ მოუჭრა კითხვა: „ეს ჩემი საქმე არ არისო“.

ახალი კანონით კლერიკალები ითხოულობენ მასწავლებლების კლერიკალებთან გაერთიანებას (კლერიკალი იგივე მასწავლებელი). ამაზე მარცხენა მხარემ უპასუხა: „ჩვენ გვწამს ეკლესიის სამსახური განათლების საქმეში, ჩვენ გვწამს იეზუიტების სამსახურიც წარსულ საუკუნოებში, მაგრამ დღეს სხვა დროა, დღეს საჭიროა საზოგადო შკოლა“ (ფოლმარი) „თორემ რა ნაირათ გინდათ, მაგალითათ, მოეპყროთ თქვენ შკოლებში, პროტესტანტებს, რომ თავი დაანებოთ, ებრაელების ბავშვებს? იმათაც ხომ განათლების მიღება უნდათ?“ (ანდრე). ამ კითხვაზე ცენტრი გაჩუმებულია და სიტყვას ბანზე აგდებს ხოლმე, მაგრამ რომ ჩააცივდენ პასუხი მოგვეცითო, დინჯათ უპასუხეს: თქვენ რომ მინისტრები იყოთ (ამ ფრაზის ხმარება საშინლათ უყვარს გერმანიის მთავრობასაც და ცენტრსაც), ამ შემთხვევაში ისე მოიქცევით, როგორც ჩვენ ვიქცევით; ჩვენ დახმარება გვინდა ამოუჩინოთ მინისტრს და მთავრობასო.

ამ ნაირათ ბავარიის შკოლის მდგომარეობა დღეს უკან და უკან მიდის. „დღემდის მხოლოთ მეკლენბურგი იყო სწავლით ბავარიაზე ჩამორჩენილი. დღეს კი მეკლენბურგიც გაგვასწრებს, თუ ახალი კანონები შემოვიღეთ.... ჩვენ თავი მოგვაქ იმითი, რომ ჩვენში სწავლა სავალდებულოა, მაგრამ ამისთანა კანონები დღეს გერმანიის სხვა მხარეებშიაც არსებობს. ჩვენ უკან და უკან მივდივართ და მე შემიძლია საერთო განათლების მინისტრის კარებზე დავაწერო: Rückwärts, Rückwärts, Don Rodrigo!“ (კაზელმანი).

პ. გ—ძე

## ტუბერკულიოზის შესახებ*).

გასულ წელს ლონდონში მოხდა ტუბერკულიოზის წინააღმდეგ მებრძოლთა კონგრესი. ამ კონგრესზე გამოჩენილმა ექიმმა კოხმა განაცხადა — ცხოველებისგან არ შეიძლება ადამიანზე გადავიდეს ტუბერკულიოზიო. ამ განცხადებამ მაშინვე დიდი კამათი გამოიწვია, შემდეგ მეცნიერნი დიდი გატაცებით შეუდგენ ამ კითხვის უფრო დაწვრილებით შესწავლას და დღეს საკმარისათ გამოარკვიეს ის.

უმეტეს ნაწილათ ტუბერკულიოზით ადამიანი ავათმყოფდება ამნაირათ. ტუბერკულიოზით ავათმყოფთა ნახველში არის აურაცხელი ავათყოფობის ბაცილები. ნახველის ნამცეცები ან წვეთათ, ან და გამშრალი მტვრის სახით ჰაერთან ერთათ ჩადიან ფილტვებში და იქ ბინავდებიან, რითაც იწვევენ ავათყოფობას. ავათ გახდენის ასეთი გზა დღეს არავისთვის საეჭვო არ არის. უკანასკნელ დრომდის მეცნიერების წარმომადგენელნი იმაშიც დარწმუნებული იყვენ, რომ ხსენებულ ავათყოფობის გავრცელებას ადამიანებში იწვევს [illegible] ბაცილებით დაავათყოფებული საქონელი. ამიტომ ყველა გაოცდა, როცა კოხმა გადაჭრით გამოაცხადა, რომ მისი [illegible] ლის ტუბერკულიოზი სრულიათ არაა საშიში [illegible] მეტათ იშვიათია საქონლისაგან ტუბერკულიოზის ადამიანზე გადატანა, ისევე იშვიათია, როგორც იშვიათია ტუბერკულიოზის მემკვიდრეობით გადაცემა. ამიტომ შეგვიძლია სრულიათ არ მივაქციოთ ყურადღება ამგვარ შემთხვევებსო. კოხმა ამნაირათ განმარტა თავისი აზრი. ადამიანის და ცხოველების ბაცილები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, თითოეულ მათგანს ეტყობა თავისებურობა და შეუძლიან გამრავლდენ მათთვის შეუსაბამო არეში, ამიტომაც არ შეიძლება ადამიანის ტუბერკულიოზი გადაედვას ცხოველს, ან ცხოველის—ადამიანს. ფრინველის ტუბერკულიოზს რომ არავითარი კავშირი არ აქვს ადამიანის ტუბერკულიოზთან, ეს უკვე დიდი ხანია გამორკვეულია, და არც არავინაა ამ აზრის წინააღმდეგი. იგივე ითქმის საქონლის ტუბერკულიოზზე. ცხოველის და ადამიანის ტუბერკულიოზი რომ ერთნაირი იყოს, იმ შემთხვევაში ავათმყოფ ადამიანისაგან აღებული ბაცილები უნდა მრავლდებოდეს ცხოველის ორგანიზმში და იწვევდეს მის დაავათმყოფებას. ეს კი ასე არ ხდება. ამის დასამტკიცებლათ კოხს შემდეგი ცდა მოუხდენია. აუყვანია 19 ხბო. იმათ ორგანიზმში ადამიანის ბაცილები ჩაუთესია სხვა-და-სხვა ხერხით. შეუშხაპუნებია კან ქვეშ, მუცლის აპკში, ვენაში, საჭმელში აურევია და ამნაირათ ჩაუყვანია საჭმლის მომნელებელ ორგანოებში, სუნთქვის შემწეობით ფილტვებში. და ეს 19 ხბო 6—8 თვის განმავლობაში სრულიათ კარგათ ყოფილან და არც სიცოცხლის დროს, არც შემდეგ მათი სხეულის გაჭრის დროს არც ერთ ხბოზე არ გამოჩენილა ტუბერკულიოზით დაავათყოფების ნიშანიც. იმავე დროს, როგორც ხბოებს, აგრეთვე ღორებს, როცა მათ ორგანიზმში ჩათესეს ძროხის ტუბერკულიოზის ბაცილები, ყველა ზევით დასახელებული გზით, ერთი კვირის განმავლობაში გამოაჩნდა დაავათყოფების ნიშნები, და ერთი-ორი თვის განმავლობაში სულ ყველა მოხოცენ.

როცა ისინი გაჭრეს, ნახეს, რომ მათი ორგანოები (ფილტვები, ღვიძლი), სავსე იყო ტუბერკულიოზის ბაცილებით. ამ ნაირათ ხბოები იმდენათ ადვილათ ავათმყოფდებიან ძროხის ტუბერკულიოზით, რამდენათ ისინი დაცულნი არიან ადამიანის ტუბერკულიოზისაგან. ახლა მეორე ნაირათ უნდა გამოვიკვლიოთ კითხვა: თუ რამდენათ საშიშია ადამიანისთვის საქონლის ტუბერკულიოზი. აქ პირდაპირი ცდა შეუძლებელია, რადგან ხომ არ შეიძლება ადამიანის ორგანიზმში ცხოველების ბაცილების ჩათესვლა. მარა ამ კითხვის გარკვევა შეიძლება სხვა დაკვირვებათა გამოკვლევით. ყველასთვის ცნობილია, რომ იმ რძესა და ერბოში, რომელიც აურაცხელი გამოდის დიდი ქალაქების ბაზრებზე და აურაცხელიც ითქმება მხმარებლებისგან, ძალიან ხშირათ არის უთვალავი ცოცხალი ტუბერკულიოზის ბაცილები. ამ ბაცილებს რომ შეეძლოთ ადამიანის ორგანიზმის დაავათყოფება, იმ შემთხვევაში ხსენებული რძის და ერბოს მხმარებლები, უმეტესათ ბავშები, რომელთაც ხშირათ კვებენ ნაყიდი რძით, უნდა ხდებოდენ ავათ ნაწლევების ტუბერკულიოზით (ავათყოფობის დასაწყისში). ასეთი დაავათყოფება კი მეტათ იშვიათია. თითონ კოხს მთელი თავისი პრაქტიკის დროს ასეთი შემთხვევა აღმოუჩენია ორ-ჯერ. ბაგინსკის გაუჭრია 933 ბავშის გვამი და არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა, რომ ნაწლევები დაავათყოფებული ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუ ფილტვებში არ იყო ბაცილები. ბიდერტს გაუჭრია 3,100 მეტი ბავშის სხეული და ნაწლევების ტუბერკულიოზი დაწყებითი სახით აღმოუჩენია მხოლოთ 16-ჯერ, რაც შეადგენს $1/2\%$. ამ ნაირათ ტუბერკულიოზის გაჩენა ნაწლევების დაავათყოფებით მეტათ იშვიათი მოვლენაა, და არც ეს იშვიათი შემთხვევები შეგვიძლია მივიღოთ იმის დასამტკიცებლათ, რომ შესაძლებელი იყოს პირუტყვის ბაცილით ადამიანის დაავათყოფება. (რძის, ერბოს და სხ. შემწეობით). აქ უფრო ჭკუაში მოსასვლელია, თუ ვიფიქრებთ, რო

*) ტუბერკულიოზი ქვია ერთგვარი ბაცილებით სხვა-და-სხვა ორგანოების დაავათყოფებას; თუ ფილტვებში გაჩნდა ეს ავათყოფობა, მაშინ ვეძახით ჭლექს.

აქ ავათყოფობის გამჩენი ფაქტორი იყო ადამიანის ტუბერკულიოზის ბაცილა, რომელიც გარეშე არედან ჩავარდა პირში და აქედან საჭმელთან და ნერწყვთან ერთათ ჩაიყლაპა. აი ყველა ამ მოსაზრებათა მიხედვით კოხი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცხოველის ტუბერკულიოზი არ გადადის ადამიანზე და ამნაირათ სრულიათ არაა საშიში ტუბერკულიოზით დაავათყოფებული საქონლის ხორცის, რძის საჭმელათ ხმარება.

მართალია მერე კოხის აზრი და საბუთები? ხსენებულ კონგრესის შემდეგ გამოაქვეყნეს არა ერთი გამოკვლევა, რომელთა შემწეობით ნათლათ შეგვიძლია გავიგოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცხოველის ტუბერკულიოზს ადამიანისათვის. ორი თვის წინეთ ლიონელმა ექიმმა არლოენმა წარუდგინა ვრცელი მოხსენება პარიზის სამკურნალო აკადემიას. ხსენებულმა მკვლევარმა ჩაუთესლა აცრით ადამიანის ბაცილები სხვა-და-სხვა შინაურ ცხოველებს (ხარებს, ხბოებს, ვირებს, ცხვრებს, თხებს). ამ გზით ის დარწმუნდა, რომ შინაური საქონელი ძალიან ადვილათ ავათყოვდება ხსენებული ბაცილებით. სულ ყველა საცდელათ არჩეულ ცხოველებს, რიცხვით 23, გაუჩნდა ჭლექი, რაც აშკარათ ჰყო ამ ცხოველების გაჭრამ; შინაგან ორგანოებს სულ ყველას დახვედრდა ბაცილები.

აქედან არლოენს გამოჰყავს ის დასკვნა, რომ კოხისაგან მოხდენილი ცდები და ამ ცდებზე დამყარებული მოსაზრებანი ყოველ ჭეშმარიტებას არიან მოკლებული, რომ ადამიანის და საქონლის ტუბერკულიოზი ერთნაირია და რომ საქონელი უსათუოთ ავათ ხდება ადამიანის ტუბერკულიოზით.

კიდევ უფრო საინტერესოა ჰოლანდიელი ექიმის იონგის ექსპერიმენტალური გამოკვლევანი. იონგმა აიღო საცდელათ ადამიანის და ცხოველების ნამდვილი ტუბერკულიოზი. ეს ბაცილები ჩაათესლა სხვა-და-სხვა ცხოველებს (ხარებს, ხბოებს, ცხენებს, ცხვრებს, თხებს, ძაღლებს, მაიმუნებს და სხ.) ორგანიზმებში შეშხაპუნებით, რისთვისაც იღებდა დიდ დოზას. საცდელათ არჩეული ცხოველები იყვნენ საღი. სულ ყველა ცხოველები აცრის შემდეგ გახდენ ტუბერკულიოზით ავათ, თუმცა ზოგ მათგანს აცრილი ჰქონდა ადამიანის ბაცილები და ზოგსაც ცხოველების. ამნაირათ ჩვენ ცხადათ გვიმტკიცდება, რომ ადამიანის ტუბერკულიოზი გადადის ცხოველზე.

გარდა ამისა იმავე ცდებმა გვიჩვენეს, რომ ცხოველის ტუბერკულიოზის ბაცილები გაცილებით უფრო ძლიერია, უფრო მომწამვლელია, ვიდრე ადამიანის. მარა თუ ცხოველის ბაცილები ასე მძლავრათ მოქმედებენ თვით ცხოველებზე, რა ძალა აქვთ ამათ ადამიანზე? ამის გამოსარკვევათ იონგმა მიმართა მაიმუნებს. მაიმუნი თავისი აგებულობით და სხვა-და-სხვა ავათყოფობათა გაჩენის მხრივ ძალიან ახლო დგას ადამიანთან. ექიმს საცდელათ ჰყავდა ორი მაიმუნი. ერთს აუცრა საქონლის (ხარის) ბაცილები, ხოლო მეორეს ადამიანის. ორივე მაიმუნს გამოაჩნდა ავათყოფობა, ხოლო ადამიანის ბაცილებით დაავათმყოფებულ მაიმუნს ავათყოფობა უფრო ადვილი სახით გამოაჩნდა და უფრო დიდ-ხანსაც იცხოვრა, ვიდრე მეორემ. ეს ცდა ჩვენ გვიჩვენებს, რომ ადამიანზედაც ცხოველის ბაცილებს უფრო მეტი ძალა აქვთ და უფრო მძიმე სახით ედება მას ავათყოფობა.

(შემდეგი იქნება)

## თფილისის საკვირაო სკოლის „ქართველ“ მასწავლებელ-ქალებს.

მე პირადათ ყოველთვის იმ აზრის ვარ, რომ თუ კაცს განვითარების და წინ-სვლის იმედი აქვს, ყოველთვის მართალი უნდა თქვას, თუნდ ეს მართალი მისთვის ძალიან საწყენიც იყოს. სწორედ ამის გამო ორიოდე სიტყვა დავწერე თფილისის ქართულ საკვირაო სკოლაზე „კვალის“ მე-12-ე №-ში. მე თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩემი სიტყვები არ ესიამოვნებოდა ზოგიერთ მასწავლებელს. ამიტომ მაშინ კიდეც დავერიდე სრული სიმართლის გამომჟღავნებას. ახლა კი „ცნ. ფურ.“ მე-1759 № მოთავსებული პასუხის შემდეგ, საჭიროთ ვრაცხ მართლის გამომჟღავნებას შევუდგე, მარა მე მირჩევნია ეს მართალი თვით გულ-მოსულებმა აღიარონ. სხვათა [illegible] პასუხში ჩვენი „მასწავლებლები“ წერენ: „ქართულ დედათა საკვირაო სკოლაში თურმე ან-ბანიც არ იციან და ჯან-მრთელობაზე და სამშობლო ისტორიაზე კი ლექციებს უკითხავენო“. არა, ეს ჩემი აზრი არ არის და არც დამიწერია. მე ვთქვი და ვამბობ, რომ არამც თუ ეგრეთ-წოდებული საუბრები არაა ჩვენ სკოლაში ჯეროვანათ მოწყობილი, თვით წერა-კითხვასაც ვერ ასწავლიან ხეირიანათ-მეთქი.

ახლა კი უმორჩილესათ გთხოვთ, სანამ ჩემ გამტყუნებას მოისურვებდეთ, მიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე: როგორაა, რომ ამ ჩვენ დედა-ქალაქში საკვირაო სკოლებში მეცადინეობს მხოლოთ ხუთმეტიოდე მასწავლებელი-ქალი, და ამ რიცხვში ოთხიოდეა გულ-მოდგინე თავის საქმეში? მართალია, თუ არა, რომ ჩვენ საკვირაო სკოლაში, რომელიც ეგრეთ-წოდებულ მეორე საკვირაო სკოლის ნაწილს შეადგენს, ხშირათ მოწაფეები უმასწავლებლოთ რჩებიან, რადგან უკანასკნელთ ურჩევნიათ სეირნი და სხვა-და-სხვა „კრებების“ დასწრება? ერთხელ მაინც მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში მოგიწყვიათ კითხვა ბუნდოვანი სურათებით, ან ისე? არის თქვენ სკოლაში ეგრეთ-წოდებული განმავითარებელი საუბრები, თუ არა? ჰიგიენის შესახებ საუბრები რამდენჯერ იყო ამ წლის განმავლობაში და ახლა არის თუ არა? ისტორიიდან საუბრები რა დროდან დაიწყეთ, სასწავლო წლის დასაწყისიდან, თუ სხვა რომელიმე დროდან? როცა რომელიმე მასწავლებელი გაკვეთილს აკლდება, მაშინ ჯგუფი უსაქმოთ რჩება, თუ ვინმე მეცადინეობს? გალობას რა დროდან ასწავლიან თქვენ სკოლაში? რამდენი მოწაფე გყავთ და რაა მიზეზი მოწაფეთა რიცხვის სიმცირისა?*) აი, ამ კითხვების გამორკვევა დაგვანახვებს, საფუძვლიანია თუ არა თქვენი წყრომა. და თუ თქვენ მართალი დარჩებით, მაშინ რაც გინდათ, ბრძანეთ. მანამდის კი მე ხელ-მეორეთ გავიმეორებ, რომ ძალიან ხშირათ ჩვენში ასეთი საქმეები, როგორც საკვირაო სკოლა, ბიბლიოთეკა და სხვა, უფრო დროს გასატარებელ საქმეთ და თვალთმაქცობათა გადაქცეული. ჩვენ ვერ ვხედავთ საქმისადმი გულ-წრფელ სიყვარულს და თავდადებას. რასაკვირველია, მე აქ მხედველობაში არა მყავს ის ორიოდე მასწავლებელი-ქალი, რომელნიც მუდმივ თავ-განწირულებით ემსახურებიან საზოგადო საქმეს.

პ. სურგულაძე.

## ოჯახის წარმოშობა და განვითარება.

(გაგრძელება—იხ. № 12).

ამნაირათ, წარმოიშობა და განვითარდა ეგრეთ-წოდებული პატრიარქალური ოჯახი. ეს ფორმა ოჯახისა წარმოადგენს, უმეტეს ნაწილათ, რამოდენიმე დაკავშირებულ და შეერთებულ ოჯახებს, სადაც უფროსათ და გამგეთ უხუცესი მამა-კაცია, ანუ პატრიარქი. მათში ჯერ არ არის მთლათ აღმოცენებული კერძო საკუთრება, თუმცა თემობრივ საკუთრების მაგიერ იქ, ასე რომ ვთქვათ, ოჯახური საკუთრებაა. სახლები, მიწა-წყალი, ტყე, ველი და სხვ. ამგვარ ოჯახში ყველას საკუთრებას შეადგენს, ასე რომ მისი წევრები კერძოთ ვერაფერს დაისაკუთრებენ, გარდა თვით-შეძენილ ნივთებისა. საერთო წარმოებასთან და დახმარებასთან მჭიდროთ დაკავშირებულია აგრეთვე საერთო მართვა-გამგეობაც, თუმცა უფროსობას პატრიარქი სწევს. დაიბადება მათში თუ არა ესა თუ ის

*) აქ ადვილათ შეიძლება ფიქტიური, ყალბი ციფრის წამოყენება, რადგან ხშირათ სიაში ჩაწერილია წლის დასაწყისში ასი ორასი მოწაფე, ნამდვილათ კი სწავლობს ოცი,—ოც-და-ათი.

საზოგადო კითხვები—ისინი მაშინვე შეიკრიბებიან და უხუცესის გამგეობის ქვეშ შეუდგებიან მათ განხილვას და განმარტებას; მისივე რჩევა-წინამძღოლობით შეუდგებიან ხოლმე ამნაირი საზოგადო საქმის განხორციელებას. მაგალითად, გამოუცხადებენ მათ ომს თუ არა სხვა – გარეშე თემის წარმომადგენლები—ესენი მაშინვე შეიკრიბებიან ერთათ თვის მონათესავე ოჯახებთან, რომ საერთო დაკავშირებით მაინც გაუძლონ მომავალ მტერსა; აგრეთვეა რელიგიური ცერემონიების ასრულების დროს, როცა, მაგალითად, საერთო ლოცვა-დიდება და საერთო მსხვერპლის შეწირვაა გაჩაღებული.

ამგვარ ოჯახებში, უმეტეს ნაწილათ, არსებობს მრავალცოლიანობა, ანუ ეგრეთ-წოდებული პოლიგამია. ეს უკანასკნელი ამ დროს ძლიერ სასარგებლოა მამა-კაცისათვის, რადგანაც ამ საფეხურზე მიწის დამუშავება და ცხოველების მოშენება უფრო ქალების ხელშია. აქედან, თავის-თავათ იგულისხმება, რომ რამდენათ მეტი ცოლი ეყოლება კაცს, იმდენათ ის უფრო უზრუნველ-ყოფილია და იმდენათვე მეცემა ნადირობას, რომელიც ეხლა მის პირველ გასართობ საგანს შეადგენს. ამას გარდა, მეტი ცოლების შერთვა ნიშნავს ბევრ ოჯახთან დანათესავებას, რაც თავის-თავათ ძლიერ საჭიროა ომის დროს მათთან დაკავშირებისათვის... აქედანვე აიხსნება ის გარემოებაც, რომ პოლიგამია ყოველთვის მარტო გავლენიან და მდიდარ ოჯახთა ხვედრია, რასაც ნათლათ გვიხატავს ებრაელთა პატრიარქალური ცხოვრება, როგორც, მაგალითათ, დავითის, სოლომონის და სხვების მრავალ-ცოლიანობა... ღარიბთათვის კი მონოგამიური კავშირიც საკმაოა, რადგანაც ეს უფრო ასატანელია მათ გამწვავებულ სიღატაკეში. ავიღოთ მაგალითათ თვით მაჰმადიანთა ცხოვრება, სადაც ყველაზე უფრო გავრცელებული პოლიგამია... იმ დროს, როდესაც მდიდარ და გავლენიან მაჰმადიანთა ცოლების რიცხვს საზღვარი არა აქვს მათ ღარიბ თანამოძმეთა შორის თითქმის ყველგან ერთი ცოლი ყავთ, როგორც, მაგალითათ, ღარიბ და დაცემულ კავკასიელ მაჰმადიანებს...

ყველა ეს ცოლები გაიყოფებიან ორ ჯგუფათ: თავისუფალნი და მონები; ამის თანაბრათ შვილებიც ზოგი თავისუფალ წრეს ეკუთვნის, ზოგი კი—მონათა ჯგუფს... ამ მრავალ ცოლთა შორის (განსაკუთრებით მათში, რომელნიც თავისუფალნი არიან) დროთა ვითარებაში თანდათან გამოირკვა იდეა „პირველი“ ცოლისა თანაბრათ მისი მნიშვნელობისა, რადგანაც ყოველ საზოგადო საქმეში მარტო ის იღებდა ხოლმე მონაწილეობას, როგორც მაგალითათ მსხვერპლის შეწირვაში და საზოგადოთ რელიგიური ცერემონიების ასრულებაში. თანახმათ ამისა თანდათან იზრდებოდა მისდამი ქმრის სიყვარულიც, რომელიც თავის განვითარების დროს ერთს რომელიმე განცალკევებულ არსებას მოითხოვს... რამდენათ ვითარდებოდა პირველი ცოლის მნიშვნელობა, იმდენათ ის ირჩეოდა სხვა ცოლებისაგან; რამდენათ ის ცალკევდებოდა სხვებისაგან, იმდენათ ეს უკანასკნელნი უბრალო ხასათ იქცეოდენ,—ასე რომ, ბოლოს ერთი მხრით დადგა პირველი, ნამდვილი ცოლი, მეორე მხრით კი—უბრალო ხასები... ამგვარი განცალკევება პირველათ გამოიხატა მემკვიდრეობის გარდაცემაში; მხოლოთ პირველი ცოლის შვილები იყვენ ნამდვილი შვილები, დანარჩენთა—კი მონები, მხოლოთ პირველნი იყვენ ნამდვილი მემკვიდრენი, დანარჩენი კი არა... მემკვიდრეობას კი იმ დროს ძლიერ დიდი მნიშვნელობა ქონდა, ასე რომ, თუ პირველი ცოლი უშვილო გამოდგებოდა, მის ალაგს რომელიმე მონა დაიჭერდა... ამის უტყუარ მაგალითათ უნდა ჩაითვალოს აბრაამის და სარას ისტორია. სარა იყო პირველი ცოლი აბრაამისა, მაგრამ რადგანაც მას შვილი არ ყავდა, მისი მნიშვნელოვანი ალაგი უბრალო მონამ, ვიღაც აგარმა დაიჭირა, რომელმაც ისმაილი შვა. მხოლოთ, როცა სარას შვილი ეყოლა—ისააკი, მაშინ მან ისევ წინანდელი წარჩინებული ალაგი დაიკავა, ისმაილის ალაგას კი ნამდვილი შვილათ და მემკვიდრეთ ისააკი ავიდა. ასევე [illegible] მ. კოვალევსკის მოწმობით, პირველი ცოლის გარდა ყავთ რამოდენიმე სხვებიც—ხასები. მემკვიდრეებათ ითვლებიან პირველი ცოლის შვილები, დანარჩენი კი—მონებათ; გაყოფის დრო ეს უკანასკნელნი არამც თუ ვერაფერს წაიღებენ, არამედ ვალდებული არიან კიდეც ემსახურონ პირველი ცოლის შვილებს *).

ამნაირათ, პირველი ცოლის გამოცალკევებაში, მისი მნიშვნელობის ზრდაში გაჩდა ჩანასახი თანამედროვე მონოგამიური ოჯახისა, რომელიც პირველათ, როგორც ზემოთ დავინახეთ, გახდა გამომხატველი კერძო საკუთრებისა მემკვიდრობის გადაცემაში. ამისათვის, რამდენათ ვითარდებოდა კერძო საკუთრება, იმდენათ ვითარდებოდა სიყვარულიც ერთ-ერთ არსებისა, რაც თავის თავათ დაედო სარჩულათ მონოგამიური კავშირის განვითარებას...

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ამგვარ ოჯ ხმა საზოგადოებრივ ურთიერთობათ ზეგავლენით ბევრნაირა შეიცვალა ფერი. საშვალო საუკუნოებში, როდესაც ნატურ ლური წარმოება იყო გამეფებული, სხვა-და-სხვა საზოგადოებრ ვი დაწესებულებანიც ერთი შეხედვით რაღაც უცვლელ ფორ მებს წარმოადგენდენ. ამან კი თავის თავათ დაღი დაჩინა მ შინდელ ოჯახის მდგომარეობას; მან მიიღო კარჩაკეტილ პატრიარქალური ხასიათი, სადაც ქორწინების გაყრა მომაკ დინებელ ცოდვათ ითვლებოდა. მეთოთხმეტე საუკუნიდან დ მოკიდებული ნატურალური წარმოება თან და თან იცვლებო და და უთმობდა ალაგს ნელ-ნელ აღმოცენებულ საცვლე წარმოებას. ამ უკანასკნელმა მიანგრ-მოანგრია ძველებურ კარჩაკეტილობა და, რა საკვირველია, მისი გავლენა არ ასცე ოჯახსაც, რომელმაც ეხლა უბრალო იურიდიული აქტის ხ სიათი მიიღო საზოგადო აზრში. ამგვარ შეხედულებამ დაუდ საფუძველი მას, რასაც ჩვენ დროში გაყრას უწოდებენ და რა 1791 წელს საფრანგეთში ოფიციალურათ იყო ცნობილი.

ამნაირათ, პირველყოფილ გეტერიზმიდან დაწყებულ ჩვენ მოვატანეთ თანამედროვე მონოგამიურ ოჯახამდის; ზრდა-განვითარების პროცესში ჩვენ გავითვალისწინეთ, რო ოჯახს არ ქონია საყოველთაოთ ერთი და იგივე ფორმა, პი იქით, ის ნიადაგ იცვლებოდა: რამდენათ იცვლებოდა საზო გადოება, მისი ასეთი თუ ისეთი ურთიერთობა, იმდენათ ი ვლებოდა ამ ურთიერთობის გამომხატველი ოჯახიც. აქ ახლ მკითხველს თავისთავათ აღეძრება კითხვა, შეირჩენს ამ ფორმ თანამედროვე მონოგამიური ოჯახი თუ არა? აი, დღევანდელ საჭირ-ბოროტო კითხვა, რომელიც მოითხოვს განმარტებას დ ცოტაოი თუ ბევრათ, კიდეც გავითვალისწინებთ, თუ მივიღე მხედველობაში შემდეგს.

ოჯახის განვითარება, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, ყ ველთვის თან მისდევდა საზოგადოების განვითარებას. ამის თვის, რომ გავითვალისწინოთ თანამედროვე ოჯახი, მისი ა მყო და მომავალი, ჩვენ უნდა მივმართოთ ისევ საზოგადო ბას, მის თანამედროვე ურთიერთობას და გაცხარებულ ტე დენციას მომავლისაკენ.

რას წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოება და რაზ აღმოცენებული მისი ასეთი თუ ისეთი ურთიერთობანი? რო დესაც ამ კითხვას ვაკვირდებით, ჩვენ მაშინვე წარმოგვიდგე ხოლმე თვალწინ თანამედროვე კაცობრიობის გაცხარებულ ფაცი-ფუცი შეძენისადმი. გაიხედეთ, საითკენაც გსურთ, აი თ

*) Ковалевскій ibid.

გინდ ამ წამსა, და დააკვირდით, საით და რისკენ მიისწრაფის ხალხის გული? თქვენ უსათუოთ შეამჩნევთ, რომ ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ყველა გაჟღენთილია ერთი და იმავე აზრით, ყველა იმისკენ მიისწრაფის, თუ რა ნაირათ იშოვოს ჩამე და მით უზრუნველ ყოს თავის თავი თუმცა-და ერთი ღლისათვისაც მაინც! გადაავლეთ თვალი თანამედროვე ადუღებულ ცხოვრებას და თქვენ გაიგებთ, რომ ყოველი ადამიანი მზათაა ყოველნაირი ზომა მიიღოს შოვნისათვის, თუ გინდ თვისი სისხლი და ღონე გაყიდოს გაჭირვებული სიცოცხლის დასაღაფავათ. რას ნიშნავს და რას წარმოადგენს ეს გამძვინვარებული მოვლენა? ეს არის თანამედროვე წარმოების შედეგი, ეს არის კაპიტალისტური წეს-წყობილების ნიშნობლივი თვისება, რომელსაც ერთათ-ერთ სარჩულათ კერძო საკუთრება უძევს. რამდენათ ვითარდება კერძო საკუთრება, იმდენათ ძლიერდება და მწვავდება ეს წარმოება, იმდენათ ის გიგანტურ ფორმებს იღებს... თვით ამ კერძო საკუთრების პირველი ორგანო, მისი საუკეთესო გამომხატველი არის თანამედროვე ოჯახი; ეს უკანასკნელი თვით განხორციელებაა კერძო საკუთრებისა და უამისოთ მისი ეხლანდელი ფორმა წარმოუდგენელიცაა... აქ უადგილოა დაწვრილებით განვიხილოთ ეს მოვლენა; საკმაოა მხოლოთ წარმოვიდგინოთ, რომ სახლი, კარი, მიწა-წყალი, კაპიტალი, ერთი სიტყვით, ყოველნაირი სახსარი დღევანდელი ცხოვრებისა შეადგენს კერძო საკუთრებას და მით გამოიხატება ოჯახში. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ეკონომიური განაწილება ნიშნავს ოჯახურ განაწილებასაც; გაყავით ოჯახის საკუთრება და მით თავისთავათ გაიყოფა ოჯახიც!.. თანამედროვე ოჯახი საუკეთესო განხორციელებაა კერძო საკუთრებისა......

გრ. რობაქიძე

(დასასრული იქნება)

## წერილი რედაქციის მიმართ.

საზღვარ გარეთ მყოფ ქართველებთან შეთანხმებით მიუნხენში დაარსდა წრე, რომელსაც მიზნათ აქვს ხელი შეუწყოს ჩვენი ხალხის თვითცნობიერების ამაღლებას. თავის წადილის განსახორციელებლათ ის აპირებს ეხლავე შემდეგს: ა) დაასუროთოს ჩვენი მწერლების საუკეთესო თხზულებანი და ბ) დაბეჭდოს ღია ბარათებზე (ფოტოს) ჩვენი მწერლები, მსახიობნი, მოღვაწეები, ძველი ნაშთები, ისტორიულათ და ბუნების მხრით შესანიშნავი ადგილები და სხვ.

ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობას და ყოველ-გვარ სამხატვრო სამუშაოს იღებს თავის თავზე ჩვენი ახალ-გაზდა მხატვარი ... მომცელიძე.

წრეს დამზადებული აქვს აუარებელი მასალა, მაგრამ ხელ-მოკლეობის გამო არ შეუძლია თავის მიზნის განხორციელება. ამის გამო ის მიმართავს ჩვენი ხალხის გულ-შემატკივართ იმ იმედით, რომ ისინი სრული თანაგრძნობით მოეკიდებიან ამ საქმეს და ნივთიერი დახმარებით განახორციელებინებენ მის მიზანს.

თანახმათ თავის უმთავრესი მიზნის წრემ დაადგინა სურათები გამოცეს რაც შეიძლება იაფათ და სულ მოკლე ხანში; ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი თანაგრძნობით მოეკიდება ამ საქმეს ჩვენი საზოგადოება.

ყოველი შემოწირულება აღინიშნება თავ-თავის დროზე ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში, აგრეთვე ყოველი ხარჯიც დაწვრილებით.

წრე უმორჩილესათ თხოვს ამ საქმის გულ-შემატკივართ თავიანთი წვლილი გამოგზავნონ შემდეგი ადრესით:

München (გერმანია),
An Herrn T. Romzelidse,
Georgien stasse 62 III l.

ან და გადაცენ თფილისში შემდეგ რედაქციებს: „ივერიას“, „ცნობის-ფურცელს“, „კვალს“, „მოგზაურს“ და ბ. ე. ჩხარტიშვილს (რკინის გზის სადგურზე; ქუთაისში: მ. გველესიანისას, ე. ლადოძეს და ვ. ბეჟანეიშვილს; ბათუმში: ნატალია მგელაძისას და [illegible] აშვილს, დ-რ კახიანს (სასტუმრო „ფრანცია“); [illegible] ცხავას.

წრეს სრული იმედი აქვს, რომ სხვა ქალაქებში, დაბებში და სოფლებშიც მოინახებიან ისეთი პირები, რომელნიც არ დაიშურებენ ამ საქმისათვის შრომას.

გამგეობა.

## საქველმოქმედო საქმე.

ქ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო მღვდ. ქრ. ჯიოევს, რომელმაც კიევლ ქართველ სტუდენტთა სასარგებლოთ შეკრიბა 14 მან. შემდეგ პირთაგან: №№-2 მ., კაკაბაძე—3 მ., მ. ს. ზედგინიძე—1 მ. 50 კ., მ. ზაალოვი-2 მ., ს. ნ. კასრაძე 1 მ. 50 კ. კასრაძე-1 მ. 50 კ., დადო—1 მ.

კიევლ ქართვ. სტუდ. მინდობილებით კ. მოდებაძე.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.


# განცხადებანი.

თფილისის კერძო სამკურნალო

## მ. გედევანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავათმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა:

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი – ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ., გარდა ხუთშაბ. და შაბათისა.

ქ. გ. ფედოროვი—შინაგანი და ბავშვებისა, 9—10.

ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგ. სამშ. და ხუთშ. 10—11.

ვ. დ. დამბაშიძე – შინაგ. 10—11, სამშაბათს და ხუთშ 1—2.

ნ. ა. მულინი—ყურის, ყელისა და ცხვირისა, 11—12.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი, 10—12.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგ. და ბავშ. 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგ. 12—1.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.

ს. ა. ვოინო—ქირურგიული, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბ. 1—2.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1—2.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი - დედათა სნეულებანი, 5—6.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა. 5—6.

ღ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგან ავათმყოფ., 10—12.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მოგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა. (წლ.).

სა3ოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

**ნახატებიანი გაზეთი**

# „კ ვ ა ლ ი"

(წელიწადი მეათე)

გამოვა **1902** წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე

**მომატებული ფორმატით.**

წლის განმავლობაში „კვალში" დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შაური. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორი აბაზი.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათ შემოიტანონ:

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე - პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის" რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12.

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და ვ. ბუქანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვირილაში ივანე არდიშვილთან. დაბა ხანში —სახალხო სამკითხველოში. ძველ-სენაკში – არსენ წითლიძესთან. ოზურგეთში — დომენტი შავიშვილთან. საჩხერეში – დიმიტრი მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ".

---

ყოველდღიური სა3ოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

# „ი ვ ე რ ი ა"

გამოვა 1902 წელსაც **გადიდებული** იმავე პროგრამით, როგორც წინეთ.

ფასი გაზეთისა: ერთი წლით—10 მან., $1/_2$ წლით—6 მან., 1 თვით—1 მ. 50 კ.; საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელი წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელი წლით დაეთმობათ 8 მ.

თუ თფილისში დაბარებული გაზეთი თფილისს გარეშე ადრესზე შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში 1 მან.; ხოლო თუ თფილისის გარეშე ხელისმომწერელი ერთი ადგილიდან მეორეში გადავიდა, უნდა გადაიხადოს 40 კ.

შეღავათი წლიურ ხელისმომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თვეით მთელი წლით დაიბარებს, იმას შეუძლია წლის ხელმოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილათ შემოიტანოს ამგვარათ: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1-ლ მარტს—2 მ., 1-ლ მაისს—3 მ. და 1-ლ სექტემბერს - 2 მ.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი—5 კაპ., პირველზე—10 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგი ადრესით: თფილისი, „ივერიის" რედაქციას, ნიკოლოზის ქ., 21, და „ქართველთა შორის წ.-კ. გამ. საზ." კანცელარიას, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის სახლი.

საფოსტო ადრესი: *Тифлисъ. Редакція „Иверія"*.

დროებით რედაქტორი ალ. ი. სარაჯიშვილი.

გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

---

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

**„მოამბე"-„ცნობის ფურცელზე"**

**სურათებიანი დამატებით.**

ყოველთვიური ჟურნალი **„მ ო ა მ ბ ე"**

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ-გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით | 10 მ. | 1 წლით | 13 მ. |
| 6 თვით | 6 „ | 6 თვით | 7 „ |
| 3 „ | 3 „ | 3 „ | 5 „ |

ყოველ დღიური გაზეთი **„ცნობის ფურცელი"**

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ-გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით | 6 მ. | 1 წლით | 11 მ. — კ. |
| 6 თვით | 4 „ | 6 თვით | 6 „ 50 „ |
| 3 „ | „ 75 კ. | 1 „ | 1 „ 10 „ |

ვინც **«მოამბეს»** მთელი წლით გამოიწერს, **«ცნობის ფურცელი»** უფასოთ გაეგზავნება, მხოლოთ ქალაქ გარეთ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის მოწერისთანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

**სურათებიანი დამატება** გაეგზავნება მხოლოთ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველათ—6 მ., 1-ლ მარტამდე—3 მ., 1 აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე 4 ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3 ჯერზე მეტათ დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე.

ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ" и „Цнобисъ Пурцели". (3–3).

---

**მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისთვის**

ორ-კვირეულ გამოცემათა

ქართულ **მწყემსზე** და რუსულ **Пастырь**-ზე

ჟურნალის ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით „მწყემსი" | 3 მ. | 6 თვით „მწყემსი" | 2 მ. |
| — — რუსული | 3 მ. | — რუსული | 2 მ. |
| — ორივე გამოცემა | 5 მ. | — ორივე გამოც. | 3 მ. |

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ნ ესტატე ლამბაშიძესთან, თფილისში წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაქაროვთან; ახალსენაკში ბლალოჩინ მამა არისტარხ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელი წლით ორივე გამოცემა 3 მან.

რედაქცია იმყოფება დაბა ყვირილაში, რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „Мцкемси" и „Пастырь".

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი «მწყემსისა», რომელნიც ნახევარ ფასათ დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეუძლიათ დაიბარონ რედაქციიდან.

дозв. цензурою. Тифлисъ, 23 марта 1902 г. სტამბა კ. ი. მარტიროსიანცისა, ორბელიანოვისქუჩა, 1—